



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.

სკელის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და სხვა საგნებზე, მოსაუბრესი. — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და-სხვა ამბები. — გ. გ. ვებგულოვი. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — გონეტუს (ბერნეიანი). — * * * ლექსი დარია ხუნდაძისა. — ზნეობრივი გონებები, ი გომართელისა. — კავკასიის გამოფენა. — ქართული თეატრი. — წერილი რედაქციის მიმართ. — «კვალის» რედაქციისაგან. — განცხადებანი.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

VIII.

მეტათ ახირებული კაცი გამოდგა ბ. ჯორჯაძე „ცნობის ფურცლიდან“. მოგვხსენებთ, რომ ჩვენ გამოვასაქარავეთ ამ ვაჟ-ბატონის პუბლიცისტურ ვარჯიშობათა სრული უსაფუძვლობა და უაზრობა. რასაკვირველია, ქეშმარიტება ყოველთვის მწვავეთ ქრის ხოლმე, და ამიტომ ჩვენ კარგა ვიცოდით, რომ ეს გარემოება არ ესიამოვნებოდა ბ. ჯორჯაძეს. მაგრამ თუ ამ პირადულ უსიამოვნებას იგი საჯაროთ გამოიტანდა გაზეთის ფურცლებზე, ეს სწორეთ არ გვეგონა. უმეტესათ გაჯავრებულა ავტორი იმის გამო, რომ ჩვენ მის წერილებს საერთოთ, უთავბოლო ლაზღანდარობა ვუწოდეთ. მაგრამ ავტორმა არა თუ ვერ დაარღვია ასეთი ჩვენი შეხედულება მის ნაწერებზე, არამედ თავისი პასუხით კიდევ უფრო დავგარწმუნა იმაში. ეს კიდევ არაფერი: ჩვენ ეჭვი შეგვაქვს იმაში, რომ ვაი თუ ბ. ჯორჯაძეს მარტო გაუგებრობით და მოუმზადებლობით არ მოსდიოდას ასეთი მიუტავებელი შეცდომები, ვაი თუ იგი განზრახ ამახინჯებდეს იმ ფაქტებს და ცნობებს, რომლებიც მას მოკავს. ვისურვებთ, რომ ჩვენი ეჭვი უსაფუძვლო გამომდგარიყოს. ახლა კი განვიხილოთ, თუ რა ახალი საბუთები მოგვაწოდა ბ. ჯორჯაძემ უმთავრეს ჩვენ საკამათო საგანზე. აქედან ჩვენ გავიგებთ, თუ როგორ ესმის ჩვენ ავტორს ცხოვრება და მეცნიერება, რომლებსაც წამდა-უწყუმ იმოწმებს და რომლის «შეგინება-შელახვას» ჩვენ გვაბრალებს.

ბ. ჯორჯაძე ამბობდა („ცნ. ფურც.“ № 1536), «რომ 1890 წლამდე ინგლისში თითქმის არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა». ამას ჩვენ ვუწოდეთ «მტკნარი სიცრუე» და დასამტკიცებლათ მოვიყვანეთ «კაპიტალიდან» შემდეგი სიტყვები: «ინგლისი კრთათუქითი მხარვა, რომელსაც აქვს შეუწყვეტელი ოფიციალური სტატისტი-

კა ინდუსტრიაზე». ასეთი მხილება და ისიც „კაპიტალიდან“ ამოწერილი სიტყვების საშუალებით ჩვენმა ავტორმა იუკადრისა და ისევ 1895 წლის «წიგნზე» (Blue book) მიგვითითა, „რომლის ძალით მხოლოთ 1895¹⁾ წლიდან მოყოლებული ინგლისში არსდება ოფიციალური სტატისტიკა“ („ცნ. ფურც.“ № 1582). რადგანაც ბ. ჯორჯაძეს არ ჯერა «კაპიტალის» ავტორის მოწმობა ხსენებულ საგანზე, ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ ისეთი მწერლის აზრს, რომელსაც ვერაფერ ვერ დასწამებს, ამ მხრით მაინც, ვერაფრითარ პარტიობას ან მომხრეობას. მე ვამბობ რუსეთის გამოჩენილ სტატისტიკოს იანსონზე. „უმთავრესი თვისება — ამბობს იანსონი, — რომლითაც ინგლისის სტატისტიკა განსხვავდება სხვა ქვეყნების სტატისტიკიდან, არის ის მოცილოება კანონმდებლობით, აღმასრულებელ უფლებასა და თვით საზოგადოებას შორის, რომლის მეოხებით იკრებება აუარებელი მასალა, მდიდარი თავის შინაარსით, ძვირფასი დაწვრილებით ცნობებით და მოკლებული ყოველგვარ წინდაწინ შედგენილ, ტენდენციოზურ აზრს. საპარლამენტო კომისიები თავისი გამოკვლევებით არსებულ მასალას უმატებენ ისეთ ცნობებს, რომლებსაც აღმინისტრაცია ვერასოდეს ვერ მიიღებს... საზოგადოებაში ინტერესი სტატისტიკისადმი იმდენათ დიდია და მოთხოვნილება იმის ცნობებში იმდენათ საგრძობელი, რომ იგი თითონ ავროპებს აურაცხელ მასალას, თუ მთავრობის ცნობები რომელიმე საგნის შესახებ ან სულ არ არის ან და არ აკმაყოფილებენ მის (საზოგადოების) მოთხოვნილებას. ამნაირათ გროვდება აუარებელი სტატისტიკური მასალა“. „ყველაზე მეტ ცნობებს — ამბობს იგივე ავტორი — ღებულობს და

¹⁾ წინანდელ წერილში ბ. ჯორჯაძე ამბობდა, რომ ინგლისში ოფიციალური სტატისტიკა 1890 წლამდე არ არსებობს; ახლა კი მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ მხოლოთ 1895 წლიდან არსდება ასეთი სტატისტიკა! მოდი და ავა გაიგეთ, რომელი ერთს დავეუწუროთ.

არკვევს მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო (Board of Trade); მას აქვს ცალკე სტატისტიკური დეპარტამენტი (Statistical department of the B. of T.), დაარსებულ 1832 წელს, რომელიც ყოველ წლივ სცემს Statistical abstract of the U. K., ე. ი. უკანასკნელათი წლის სტატისტიკური ცნობების მოკლე მიმოხილვას²⁾. ახლა ბ. ჯორჯადეს ვკითხოთ: ქვია ამას ოფიციალური სტატისტიკა თუ არა? თუ არც იანსონის მოწმობას დაიჯერებს, იმ შემთხვევაში ჩვენ დავასახელებთ აქ კიდევ სტატისტიკის საერთაშორისო კონგრესის დადგენილებას ფროლენციაში 1867 წელს, რომლითაც ინგლისის სტატისტიკა ყველა ქვეყნებისთვის მისაბაძავ მაგალითათ უნდა ჩაითვალოს³⁾. რაც შეეხება ბ. ჯორჯადის მიერ დასახელებულ წყაროს—Annual Report of the chief Inspector,—მას ალბათ ის ვერ გაუგია. ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ როგორც ბ. ჯორჯადისვე წერილიდან ჩანს, მას ეს წყარო სრულებით არ ჰქონია ხელში, არამედ უხელმძღვანელია ერთი უბრალო ჟურნალის სტატიით „The small industries of Britain“ („ბრიტანიის წვრილი მრეწველობა“), რომელიც მოთავსებულია 1900 წლის „The Nineteenth Century“-ში. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ბ. ჯორჯადეს ვკითხოთ: ნუ თუ მას მართლა გონია, რომ 1890 წლამდე ინგლისის მრეწველობის შესახებ არ მოიპოვება არავითარი, არც ოფიციალური და არც სხვა გვარი ცნობა? ჩვენც სწორეთ ამას ვუსაყვედურებდით ბ. ჯორჯადეს, როცა მან ინგლისის მრეწველობის დასახასიათებლათ მხოლოდ ერთი წლის (1895 წ.) ორიოდვე მშრალი ციფრები მოიყვანა. რათ გაჯიუტდა ბ. ჯორჯადე, რათ არ უნდა, რომ გამოტყდეს თავის შეცდომაში? მაგრამ მას დავთარი დაუბნია იმ გარემოება, რომ მე „კაპიტალის“ ავტორი ვიმოწმებ. ბ. ჯორჯადეს-კი გერმანიის გამოჩენილი ეკონომისტი სურს ჯვარზე აცვას, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ამ უკანასკნელმა გაიმეორა ჯონ ბრაიტის და სხვების-მიერ გამოცემული ცნობა შესახებ იმისა, რომ ნახევარი ინგლისი 150 მემამულეს ხელშია და ნახევარი შოტლანდია-კი 12 მემამულეს ეკუთვნისო. სამწუხაროთ ბ. ჯორჯადემ არ იცის, რომ ეს აზრი „კაპიტალის“ ავტორს გარდა სხვებმაც გაიმეორეს, და იმათ შორის შარლ ლეტურნომაც⁴⁾. ავტორმა ყველა ეს გამოჩენილი მწერლები უკუაგდო და ლენდლორდების მებაიარდეს—ბროდრიკის წიგნს დაემყარა. ვნახოთ, რა ცნობებს აძლევს ბ. ჯორჯადეს ბროდრიკი, ჯონ ბრაიტის და სხვების აზრის გასაქარწყლებლათ.

1876 წელსო—ამბობს ჩვენი ავტორი—ინგლისში და უელსში 14.000,000 აკრი მიწა ეკუთვნოდა 1,704

2) Ю. Янсонъ Теорія Статистики. СПб. 1891 г. გვ. 90-1.

3) აი ეს დადგენილება სიტყვა-სიტყვით: „Ils (délégues) sont également priés des resumer, pour le plus grand nombre d'années possibles, dans des publications d'un format commode et à bon marché l'ensemble de leurs documents statistiques. On leurs propose à titre d'exemple, sinon comme modél, le Statistical Abstract publié chaque année par le gouvernement anglais et qui comprend habituellement une serie de quinz année“, იხ. Compte-rendu general des travaux du Cong. intern. de Statistique. SPB. 1872 წ., გვ. 7.

4) იხ. მისი Evolution de la propriété.

მემამულეს და 19.000,000 აკრი განაწილებულყოფილიყო 150,000 მემამულეთა შორისო. 1892 წელს⁵⁾ 176,520 მემამულე იყო იმისთანა, რომელთაც თითოეულათ ჰქონდათ არა უმეტეს 10 აკრისაო“ (№ 1582). მერე რა არის აქ ისეთი, რაც ჯონ ბრაიტის და სხვების აზრს არღვევდეს ინგლისის მიწათ მფლობელობის შესახებ? 1892 წელს 176,520 მემამულე იყო ისეთი, რომელთაც თითოეულათ ჰქონათ არა უმეტეს 10 აკრისაო! მერე განა ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ წელს ინგლისში და შოტლანდიაში დიდი მამულის პატრონები არ ყოფილან? საიდან ჩანს აქ, რომ ბრაიტი შემცდარი იყო, როცა ამბობდა, რომ ინგლისის ნახევარი ნაწილი 150 მემამულეს ხელში არისო და ნახევარი შოტლანდია 12 მემამულეს ეკუთვნისო? განა არ შეიძლება, რომ 176,520 კი არა, ორჯერ ამაზე მეტი იყოს იმისთანა მემამულე, რომელთაც თითოეულს ჰქონდეს არა უმეტეს 10 აკრისა, და იმავე დროს მთელი ტერიტორიის ნახევარი 150 მემამულეს ეკუთვნოდეს? შეიძლება და მერე როგორ კარგათ! მაგრამ აქ ბ. ჯორჯადე ჩვენ მოგვაძახებს: არა, მართო ეს არ ამომიღია მე ბროდრიკის წიგნიდან, მე იქიდან ისეთი ცნობები ამოვიღე, რომლებიც ამტკიცებენ, „რომ ინგლისში მხოლოდ 2,110-ია ძლიერ დიდი მემამულეებისა, 27-28⁰ კი მთელი შემუშავებული ტერიტორიისა დიდ მემამულეთ უჭირავთ და 66⁰0-ს (მიწას? მ.) ამუშავებენ გლეხებო“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ის ცხრილი, რომელიდანაც გამოყავს ჩვენ ავტორს ასეთი დასკვნა, იმის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს, თუ როგორ ამხინჯებს იგი სტატისტიკურ ცნობებს. აქ ყოველგვარი სტატისტიკური კვლევა-ძიების კანონი დარღვეულია და უარყოფილი. პირველათ: ცხრილში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა 1885—1895 წლების განმავლობაში სხვა-და-სხვა კატეგორიის მიწის მფლობელთა რაოდენობა; დასკვნა-კი შეეხება შემუშავებული მიწის დაყოფას მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის. მაგრამ მიწის მფლობელთა რაოდენობა სულ სხვაა და თვით შემუშავებული მიწის რაოდენობა და მისი მემამულეთა სხვა-და-სხვა კატეგორიათა შორის დანაწილება სულ სხვაა. მემამულეთა სხვა-და-სხვა ჯგუფის რაოდენობიდან რომ ჩვენ დასკვნა გამოვიყვანოთ იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფს რამდენი ადგილი უჭირავს ეს იმას ემსხავება, რომ გვითხრან: ორჯერ ორი ქართოფილის სანთელს უდრისო.—შეორეთ: ბ. ჯორჯადის-მიერ მოყვანილი ცხრილი გვეუბნება, რომ ინგლისში ათი წლის განმავლობაში (1885—1895 წწ.) წვრილ და შუათანა მემამულეთა რიცხვს მოუმატია და მსხვილ მემამულეთა რიცხვს-კი დაუკლოა. მაგრამ აქ ჩვენ ავტორს ავიწყდება თავი და თავი საგანი: საქმე იმაში როდია, წვრილ მემამულეთა რიცხვი მატულობს თუ მსხვილ მემამულეთა რაოდენობა კლებულობს, არამედ იმაში, თუ როგორ იცვლება ერთის ან მეორეს მამულის სივრცე. შესაძლებელია, რომ წვრილ მესაკუთრეთა საერთო რიცხვი გაიზარდოს და იმავე დროს იმათი საერთო მიწა-ადგილის რაოდენობამ დაიკლოს, რაც მართლა ხდება და რის მაგალითებს ჩვენ ქვევით მოვიყვანთ. შესაძლებელია პირიქით, რომ მსხვილ მემამულეთა რიცხვმა დაიკლოს და იმავე დროს იმათ მიწა-ადგილის სივრცემ იმატოს, რასაც ნამდვილათ ვხედავთ თანამედროვე ეკონომიურ



პირობებში. ჩვენი ავტორის ცხრილი-კი ამის შესახებ არაფერს არ გვეუბნება, ამიტომ იგი არა თუ მიზანს ვერ ახწევს, არამედ ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს მკითხველის თვალში. ბ. ჯორჯაძეს იმის დამტკიცება უნდოდა, რომ დიდ მემამულეთა მიწა-ადგილი ქუცმაცდება და წვრილ მესაკუთრეთა ხელში გადადის, და პირიქით: წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი იზრდება და მასთან ერთად მატულობს აგრეთვე იმათი მამულის რაოდენობა. ამის მაგივრათ-კი იგი ჩვენ გვაწვდის ყოველად უმნიშვნელო ციფრებს იმის შესახებ, რომ სხვილ მემამულეთა რიცხვი კლებულობს და წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი-კი იზრდება. ნუ თუ ახლაც ვერა გრძნობთ, ბ-ნო ჯორჯაძევ, თუ როგორ ააქლინეთ ნიშანი?

ეს ყველა კარგი, მაგრამ ერთი აგვიხსენით, რას ნიშნავს თქვენი ფრაზა: „66% მთელი შემუშავებული ტერიტორიისა ინგლისში ამუშავებენ გლეხებიო!“ თქვენი წერილიდან არა ჩანს, ეს «გლეხები» მესაკუთრენი არიან და თავის საკუთარ მიწას ამუშავებენ, თუ მეიჯარადრენი, ან კიდევ უბრალო დაქირავებული მუშები. ალბათ თქვენი ბროდრიკი ამის შესახებ არაფერს ამბობს. ამიტომ ისევ მე ვეცდები მოკლეთ მაინც გაგაგებინოთ, თუ რაშია აქ საქმე. ინგლისში მიწათმფლობელებმა ძლიერ აღრე დაკარგეს მუქთი მუშა ხელი; ამიტომ ისინი იძულებულნი შეიქმნენ შემოვლოთ მეურნეობაში კაპიტალისტური წესი. მაგრამ რადგანაც იმათ იმ დროს არა ჰქონდათ ამისთვის საჭირო ფული, ამიტომ იძულებული შეიქმნენ დაეყოთ თავისი მამულები დიდ თუ პატარა ნაჭრებათ და მიეცათ იჯარით სოფლის ისეთ მეურნეთათვის, რომლებსაც მეურნეობის საწარმოებლათ საკმარისი იარაღი და საშუალება ჰქონდათ. ამ გზით გავრცელდა მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოება. ამ ნაირათ საიჯარო სისტემის გავრცელებიდან რომელსამე ქვეყანაში ჩვენ ვტყობილობთ აგრეთვე იმას, თუ რა ზომამდენა იქ გავრცელებული კაპიტალისტური წესი მეურნეობაში. აი რა საინტერესო ცნობებს გვაძლევს იჯარის შესახებ «აგრარული კითხვის» ავტორი.

„ინგლისში მთელ შემუშავებული მიწიდან 1895 წელს მხოლოდ 4.640,000 აკრი იყო ისეთი, რომელსაც თვით პატრონები ამუშავებდნენ, 27.940,00 აკრს კი აწარმოებდნენ მეიჯარადრენი. საკუთარ მიწაზე იქ ითვლებოდა 61,014 ოჯახი (ХОЗЯЙСТВО), ხოლო 459,042 საიჯარო მაწაჟ იყო⁵⁾. გერმანიაში და საფრანგეთში ასე არ არის გავრცელებული იჯარული სისტემა, რაც იმას მოწმობს, რომ თვით კაპიტალიზმიც ამ ქვეყნების მეურნეობაში ისე არ არის გავრცელებული, როგორც ინგლისში. ყოველ შემთხვევაში იგივე ავტორი გვიმტკიცებს, რომ იჯარული სისტემა იქაც თან-და-თან ვრცელდება. «გერმანიაში 1882 წლიდან 1895 წლამდე საიჯარო წარმოებათა რიცხვი 2.322,896-დან ავიდა 2.607,210-დ, ე. ი. მოიმატა 284,311; იმავე დროს ისეთ წარმოებათა რიცხვი, რომლებიც საკუთარ მიწაზე ხდებოდა, 2.953,445-იდან დავიდა 2.951,107. საფრანგეთში სამეურნეო წარმოებათა რიცხვი იყო:

საკუთარ მიწაზე	საიჯარო მიწაზე
1882 წ. 3.525,343	1.309,904

⁵⁾ K. Kautsky. Die Agrarfrage. გვ. 97.

1892 წ. 3.387,245 1.405,560
 მოემ. (+) ანუ მოაკლ. (—): —138,097 —96,569 *)
 ასევე სხვაგანაც.

ზემო ნათქვამიდან ჩვენ რამდენიმეთ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ ვინ არიან ის გლეხები, რომლებიც ინგლისში 66% მთელ შემუშავებულ ტერიტორიისა ამუშავებენ: ისინი არიან უმეტეს ნაწილათ კაპიტალისტ-მეიჯარადრენი! ჩვენ სასაცილოთ არ გვყოფნის, როცა ბ. ჯორჯაძე ამბობს, «რომ ბროდრიკის მოწმობას თვით ბ. მოსაუბრეს თვალშიაც ექმნება მნიშვნელობა!» ჩვენ რა უნდა გვასწავლოს ბროდრიკმა, როცა მას ბ. ჯორჯაძისათვისაც ვერაფერი უსწავლებია!

მოსაუბრე.

შინაური მიმოხილვა.

ამ თვის დამლევს (30 სექტემბერს) დაიწყება კავკასიის ექიმთა კრება. სამწუხაროთ, ყველა გაზეთები იმას ჩივიან, რომ თითქმის არავითარი მოხსენებები არ მოდის და არ იციან რით შეიქცევეს თავს ჩვენი მეცნიერ ექიმბაშთა კრება. მოხსენებები მარტო ბათუმელ ექიმებს აქვთ მზათ, და ექიმი ხმოსანი და ექიმი გამგეობის წევრი ერთმანერთს ეცილებიან არა მე გამგზავნეთ ქალაქის ხარჯით არა მეო. ბათუმის საბჭოს ადგილზე ჩვენ ორივეს გამოვგზავნიდით და გ. ელიავასაც გამოვაცოლებდით. სხვა არა იყოს რა «კვალის» გასტროლოგიური ექიმები მაინც ჩამოვლენ, რომელთაც თავიანთი სურათები წინდაწინ მოათავსეს გაზეთებში, და უეჭველია საექიმო ეთიკაზე მაინც ავდებენ ლაპარაკს, ან იმ უსამართლობაზე რომელთაც მათ კორესპონდენტები და შეუძლო პაციენტები აყენებენ. მართლაც, მეტათ საჭიროა რომელიმე ექიმი მიიღებდეს შრომას იმ მკირე მასალით მაინც ისარგებლებდეს, რაც ჩვენ შევიწროებულ პრესაში იყო გამოქვეყნებული და მიაქცევდეს ამხანაგების ყურადღებას ექიმთა მოქმედებას კერძო პრაქტიკაში. მეტათ საინტერესოა ეს კითხვა როგორც თვით ექიმების პროფესიის, ისე საზოგადოებისათვის. ექიმების პროფესიისა ლიბერალური პროფესიისა, და ყოველ ამ გვარ პროფესიისა უმთავრესათ ხელმძღვანელათ ამხანაგთა აზრი და სამართალი აქვს მიჩნეული, ხოლო რადგან დაბა-სოფლებში გაბნეული ექიმები ასეთ კორპორაციებს მოკლებული არიან, საჭიროა ამ შემთხვევით ისარგებლონ და მიიღონ რამე ზნეობრივი ზომები მაინც, რომ მათი სახელი და წოდება არ იბღალებოდეს.

* *

მასწავლებელთა ეთიკაც არ უნდა იყოს მტკიცეთ შემუშავებული, ნამეტურ გალობის მასწავლებლისა. წაიკითხავდით „НОВ. ОБ.“-ს № 5822-ში ექიმი გომართელის წერილს და გეცოდინებათ, თუ როგორ ასწავლის გალობას ბავშვებს მასწავლებელი ს-ი. მართალია, ამბობენ, არტიტი და მომღერალი ნერვებიანი ხალხია, ადვილათ ჯავრდებიანო, მაგრამ ავლაბრის სკოლის მასწავლებელს ბევრი არაფერი უნდა ქონდეს საერთო არტიტიმემუსიკეებთან, რადგან მას „სმიჩოკი“ ბავშვების საცემი იარაღი გონია, და რომ არტიტიც იყოს, მაინც არ უნ-

*) Ibid. გვ. 97—98.

და ქონდეს უფლება „სმიჩოკით“ ბავშვებს თავი გაუტეხოს. თუ ასეთი მოქმედება შესაძლებელია თფილისში, საცა ერთის ნაცვლათ ათი უფროსი და მეთვალყურე ყავთ მასწავლებელთ და საზოგადოებაც უფრო შეგნებულა, რაღა იქნება სოფელში? იქალბათ კეტებით სცემენ ს-ისთანა მასწავლებლები ბავშვებს.

* * *

წაიკითხავდით აგრეთვე გრ. დიასამიძის წერილსაც «ივერიაში» № 204. გრიგოლ ყიფშიძე სტამბავს თავის ქართულ პრესის ზეპირ-გადმოცემულ ისტორიას ივერიაში და სხვათა-შორის კვალის თანამშრომლებში დღიდან მისი დაარსებისა მოიხსენია ბ. გრიგოლ დიასამიძეც, და აი ამას აუბორებია ბ. გრიგოლ დიასამიძე: მას ეწინაა, ახლანდელი «კვალის» თანამშრომელთა რიცხვში არ ჩაწერონ და აცხადებს, რომ ის მხოლოდ წინეთ წერდა ამ გაზეთში. რა უბრალო შიშია! ვინ არ იცის რომ დღევანდელი ჩვენი გაზეთი და გრიგოლ დიასამიძე ძალიან შორს არიან ერთმანეთისაგან, ისე როგორც «კვალის» ბრწყინვალე (!) ხანის გამგებელი ბ. ფხა თუ ფანცხავა, რომელიც მართლაც უსამართლოდ გამოტოვა ბ. ყიფშიძემ...

* * *

მოგეხსენებათ, ყოველ სეზონს თავისი კითხვები აქვს და შემოდგეზე ყოველთვის სტუდენტების დახმარების შესახებ აღიძვრება ხოლმე კითხვა. მართალია, დღემდინ ვერაფერ დასკვნამდი ვერ მივსულვართ, ვერაფერი მოგვიგვარებია, მაგრამ ყოველ სეზონში სიტყვით მაინც გამოვუცხადებდით თანაგრძნობას სტუდენტებს, წელს კი სულ სხვა თვალთ შეხედეს ჩვენებურმა რუსულმა გაზეთებმა ამ კითხვას. „Нов. Об.“ და „Тиф. Лист.“ ერთხმათ გვარწმუნებენ, იმდენათ დაეცა ჩვენი სტუდენტობა, რომ დახმარების ღირსიც არ არიან; მიეჩნია მათხოვრობას, შრომა ეზარება, მუდამ ხელგაწვდილი დადის, მოწყალეობა მოიღეთო და თუ შეეწიე, და ორ გროშს მოუყარა თავი, მაშინვე ცოლს ირთავს, ქორწილს მართავსო. იმავე სტუდენტებს ედება მეორე ბრალიც—ვალის გადახდას თხოულობს ძველ დავალებულთაგანო. აქამდინ არ ვიცოდით თუ შემწეობის მიძღვრეს ცოლის შერთვის ნება არა ჰქონდა და სტუდენტების კასის ვალის მოთხოვნა, თუნდ ნიჭიერი მწერლისაგანაც, უპატივცემულობა და შეურაცხყოფა იყო. არც ისა გვჯერა, რომ ჩვენი სტუდენტობა, თითო ოროლას გარდა, ისე დაცემული იყონ სულით, რომ გაუჭირვებელი შემწეობას თხოულობდეს, ან გამოურკვეველი მდგომარეობა ერჩიოს გამორკვეულს, თუნდ შრომაც დასჭირდეს. სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ის არის, რომ სტუდენტების შრომას გასავალი არა აქვს, და სამუშაოს მიძებნელთა მხოლოდ შოულობს საქმეს, როგორც მოსკოვის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების მოწოდება გვარწმუნებს („P. B. № 255) მერე რა და რა სამუშაოს არ კიდებენ ხელს საბრალო სტუდენტები: გაკვეთილები, კანტორშიკობა, სტატისტიკობა, გადაწერა, თარგმნა, მასსაჟი, ავადმყოფის მოვლა და რა ვატი რა, მაგრამ მაინც ვერ შოულობენ საქმეს და ამისთანა პირობებში მყოფ ახალგაზღობას უკიუინებენ ჩვენი პუბლიცისტები მათხოვრობას. შემცდარი აზრია, ვითომ ჩვენებური სტუდენტები რამე განსაკუთრებულს წარმოადგენდეს მათხოვრობითა და ხელის გაწვდით. „Голодъ не тетка“, იტყვიან რუსები, და არ მგო-

ნია ბ. ონი შეუშინდეს იმ სირცხვილს, რომელსაც ცხლია გრძნობს იგი შემწეობის მთხოვნელ სტუდენტების მაგიერ. საზოგადოათ უნდა ვთქვათ რომ ბ. ონის და „Тот-же“-ს quasi რადიკალური მსჯელობა უფრო ბურჟუას მორალს წააგავს, რომელიც ზიზლით უყურებს ყოველ მათხოვარს, და მასში მხოლოდ ზარმაცობის თაყვანის მცემელს ხედავს. რასაკვირველია, ორგანიზაციას მოკლებული ქველმოქმედება უფრო შეურაცხყოფელია ადამიანისა, და კიდევ უმჯობესი იქნება სწავლა-განათლების საქმე ისეთ პირობებში ჩადგეს, რომ ყოველ მსურველს შეეძლოს სწავლის უმაღლეს საფეხურამდე მისვლა, მოისპოს სწავლის მონაპოლია. მაგრამ, სანამ ამას მოვესწრებოდეთ, მოვალე ვართ ღარიბ მოძმეთ ხელი შეუწყოთ, თუნდ უმაღლესი სწავლის მალეზაშიაც და უკუვადლოთ ბურჟუაზიული მორალის ქადაგება.

სხვა-და-სხვა ამბები.

20 სექტემბერს ტფილისში მოვიდა გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი, რომელიც ვლადიკავკავიდან გამოვიდა ავტომობილით 19 სექტემბერს და იმავე დღეს მოვიდა მცხეთას.

გაზეთების სიტყვით, ვლადიკავკავის რკინის გზის მმართველობას ნება მოუვიდა გაიყვანოს შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზა. ეს გზა შეაერთებს ვლადიკავკავის გზის ერთ-ერთ სადგურსა მიერ-კავკასიის რკინის გზების ერთ-ერთ სადგურთან. სახელდობრ განზრახულია გზა დაიწყონ სადგურ ენემიდან ან აფინსკაიდან (ეკატერინოლარის ახლო), გაიყვანონ ტუაპსეზე, სოქზე, სოხუმზე და მიიყვანონ ან ახალ-სენაკამდე, და ან სამტრედიამდე.

თფილისის გუბერნატორს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მოუვიდა ახალი წესები საექიმო, სავეტერინარო და საჰიგიენო სახალხო კითხვათა გამართვის შესახებ. ახალი წესი შესდგება შემდეგ მუხლებიდან: 1) საექიმო, სავეტერინარო და საჰიგიენო სახალხო კითხვების გამართვა შეიძლება ქალაქებში, თაბრიკებში და ქარხნებში უთუოთ გუბერნატორის ნებართვით; 2) კითხვის ნება ეძლევა მხოლოდ ექიმებს, ვეტერინარებს და, საზოგადოათ, ამ საგნების სპეციალისტთ; 3) კითხვა შეიძლება ნაბეჭდისა, ხელ-ნაწერისა და ზეპირათაც, მაგრამ უთუოთ წინათვე დამტკიცებულის პროგრამით; 4) პროგრამმა დამტკიცებული უნდა იქნეს საგუბერნიო საექიმო და სავეტერინარო უწყებათა მმართველთაგან; 5) კითხვის წეს-რიგის მოწყობა და თვალ-ყურის გდება ეკუთვნის გუბერნატორს.

დღეს, 23 ენკენისთვის, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ვაჟების საკვირაო სკოლაში დაიწყება სწავლა.

20 სექტემბერს, კავკ. სამ. საზოგადოების შენობაში კრება ჰქონდა ბექვდითი სიტყვის კომისიას. სხდომაზე რამდენიმე მორიგი საქმე გაარჩიეს. სხვათა შორის გამოფენაზე ბექვდითი სიტყვის გამგეთ აირჩიეს თ-დ. გ. მ. თუმანოვი, ნაცვლათ ბ. ვ. ყორღანოვისა, რომელმაც რაღაც მიზეზების გამო თავი დაანება ამ თანამდებობას. ამ კრებას უნდა განეხილა აგრეთვე ის უსიამოვნო ინციდენ-



ქართული
ენათმეცნიერება

ნტი, რომელიც მოხდა გამოფენაზე ბ-ნ ბეგიევისა და ბ-ნ პაშკოვსკის შორის. მაგრამ სხდომაზე ამის შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში მოხდება ტფილისში ამიერ-კავკასიის ბეთათალთა კრება საქონლის ქირთან საბრძოლველ საშუალებათა გამოსარკვევათ.

ახლო მომავალში უმაღლესის ნებართვით სახელმწიფო საბჭო განიხილავს კითხვას ტფილისის გუბერნიაში საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობის გაგრძელების შესახებ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოში 18, 19 და 20 ენკენისთვის ირჩეოდა ქუთაისის თეატრში 5 მაისს „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს მომხდარ უწყისოების საქმე უთმავრეს ბრალდებულთა შესახებ: ნ. მ. ლორთქიფანიძის, ა. ნ. კანდელაკის, კ. ნინიძის (სტუდენტებია) და ი. აფხაიძის. 20-ს სალამოს სასამართლომ გამოაცხადა შემდეგი განჩინება: დაჯარიმებულ იქმნენ ნ. ლორთქიფანიძე—150 მ., ა. კანდელაკი—50 მ., კ. ნინიძე—100 მ. და ი. აფხაიძე—5 მ. დაწვრილებით შემდეგ.

ფოსტის და ტელეგრაფის უმთავრეს სამართველოს ამ დღეებში გაუგზავნია საჩქარო მიწერილობა ყველა თავის დაწესებულებათათვის, რომლითაც ემერიტალური კასის ყველა მონაწილეთ ეკითხებიან, თუ როგორ სურთ მიიღონ უკან თავიანთი ფული—სარგებლიანი ქალაქდებით, თუ ნაღდ ფულათო. ორივე შემთხვევაში ფულები გაგზავნებათ ფოსტით, ფულიანი პაკეტებით. როგორც ჩანს სარგებლიანი ქალაქდების მსურველი თითქმის არავინ აღმოჩენილა.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი გამოცემანი: 1, მონტეგაცი. შრომა და ბენდიერება, თარგ. მ. ნინიძისა, ბათომი, სტ. კილაძისა და ამხ. ფასი 30 კ.

2, ლექსები გრ. აბაშიძისა, ტ. I., გამ. ქუთ. ამხანაგობისა, ფ. 60 კ. ამ წიგნების ბიბლიოგრაფიას შემდეგ დავბეჭდავთ.

კავკ. სამოსწ. ოლქის მზრუნველი შუამდგომლობს საერო განათ. მინისტრის წინაშე, რათა ნება მიეცეს თფილ. III სავაჟო გიმნაზიას მოუმატოს საპანსიონო გადასახადს 30 მ. წელიწადში (240 მ. 210-ის მაგიერ).

ფინანსთა სამინისტრო შეუდგა რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევას.

ზემო და ქვემო იმერეთში, როგორც იწერებიან, დიდი წვიმა მოდის უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში. ნიაღვრებმა სოფლის გზები და გზატკეცილები გააფუჭეს და ბევრი ზარალი მისცეს მეურნეთ.

სამხედრო ბეგრის საქალაქო საკრებულო დაიწყებს მუშაობას 15 ოქტომბრიდან. პირველ დღესვე მოხდება სამხედრო სამსახურში გასაწვევთა სიების შემოწმება და

კენჭის ყრა; შემდეგ დღეებში კი შეამოწმებენ გაწვეულთა ჯანმრთელობას.

მომავალ საიუბილეო დღესასწაულის დროს ჯარების გასამასპინძებლათ ქ. თფილისში და თავად-აზნაურობამ გადასდო 10,000 მ. ამ ფულებიდან ნახევარს ქალაქი გადაიხდის და ნახევარს თავად-აზნაურობა.

გ. გ. ევანგულოვი

კვირას, 16 სექტემბერს, თფილისში უეცრათ გარდაიცვალა თფილისის ქალაქის მოურაფი გიორგი გრიგოლის ძე ევანგულოვი. განსვენებული უკანასკნელ ხანებში გულის სიკვანძით ავითყოფოდა, მაგრამ იმდენათ ჯანმრთელი კაცი იყო, რომ ავითყოფობას არ იმჩნევდა და ასრულებდა სამსახურის საქმეებს.

განსვენებული დაიბადა თფილისში 1843 წელს, 15 ოქტემბერს. 1863 წელს გაათავა თფილისის პირველი კლასიკური გიმნაზია და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში 1867 წ. დაასრულა იურიდიული ფაკულტეტი. სასამართლოს საქმეების პრაქტიკულათ შესწავლისათვის განსვენებული ერთის წლით დარჩა უნივერსიტეტში და შემდეგ განწესებულ იქმნა თფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სამსახურიდან ის გადაყვანილ იქმნა კავკასიის ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოს დეპარტამენტში. 5 წლის შემდეგ, როცა ეს დეპარტამენტი გააუქმეს, გ. გ. ევანგულოვმა სამსახურს თავი დაანება და ჩირიყხა ნაფიც ვეჟილათ თფილისის ოლქის სასამართლოში.

როგორც სამსახურის, ისე ვეჟილობის დროს ევანგულოვი მონაწილეობას იღებდა სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებებში; სხვათა შორის, ხმონათ იყო ტფილისის საბჭოში. ხოლო რამდენიმე წლის წინეთ, როდესაც ქალაქის თავათ ნამყოფმა თავ. ნ. ვ. არლუთინსკი-დოლოგორუკიმ სამსახურს თავი დაანება, გ. გ. ევანგულოვი არჩეულ იქმნა ქალაქის მოურაფათ. განსვენებული დაასაფლავეს 20 სექტემბერს ქალაქის ხარჯით, თანახმათ საბჭოს დადგენილებისა. განსვენებას მრავალი ხალხი დაესწრო, ყოველ დაწესებულებათა წარმომადგენლები, ამქრები, ქალაქის სასწავლებლის მოსწავლეები და სხვ.

განსვენებულის ქალაქის მოურაფობის თანამდებობაზე მოღვაწეობის გარჩევას აქ არ შეეუდგებთ, ვიტყვით მხოლოთ, რომ მას მეტათ მძიმე დროს შეხვდა ამ თანამდებობის აღსრულება; იმ დროს როცა ეროვნებათა შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ თითქმის თავის თავის უარისყოფამდე მიიყვანა ჩვენი თვითმმართველობა, რომელიც ხელში ჩაუვარდა მცხოვრებელთა ერთ ნაწილს. ამით იყო გამოწვეული ქალაქის მმართველობისამდი მცხოვრებთა უმრავლესობის უკმაყოფილება; ამ გარემოებამ ბევრი უსიამოვნება აგვმა ახლათ გარდაცვალებულ ქალაქის მოურაფსაც.

კორეისპონდენციები.

ბაქო. გასუთებში ამოვიკითხეთ, რომ თფილისში და ქუთაისში ნოქრებს განუზრახვთ საურთიერთო დამსარქებელ საზოგადოების დაარსება; თფილისის ნოქრებს უკვე დამტკი-

ცხელი წყალბაზი ქონით და სქემის მოწყობასაც შესდგომიან. მაგრამ თუ სადმე საჭიროა ამგვარი საზოგადოების დაარსება, ეს უზიარველესათ ბაქოში. ადგილიც მოიპოვა ბეგრათ უფრო განვითარებულია, ვინემ სსკა გავასიის ქალაქში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნოქრების მდგომარეობა აქ ბეგრათ უფრო უნეტეოა, ვინემ სსკა რომელსაღე ქალაქში. ადგილობრივი ნოქრები უფრო მეტ დროს მუშაობენ და შედარებით ნაკლებსაც ღებულბენ, ვინემ სსკაგან, რადგანაც ქცსოვრება მეტათ ძვირი ჯდება. განვითარებითაც ადგილობრივი ნოქრები ბეგრათ ჩამორჩებიან და თუ რომელიმე ნოქრს გიდეკ არ აქვს ჩაქრობილი გონების განვითარებრს წყურვილი, მათი ადები უფაელ ღონისძიებას ხმარობენ, რომ რამე ნაირათ ჩაუჭრან ასეთი სურვილი. აი ამის ერთი მაგალითი: ერთმა ნოქრმა თხოვა თავის ადას, რომ ნება დაერთო ევლო მას მასწავლებელ ან მადანის დაგეტვის შემდეგ ე. ი. ღამის თერთმეტი საათიდან თორმეტამდე, მაგრამ პატრონი ამის წინააღმდეგი შეიქნა. მიუხედავთ ამისა ნოქრმა განაგრძო მეცადინეობა, მაგრამ, ადა დაემუქრა ადგილიდან დათხოვანს თუ ამ თანამდებობას თავს არ დასნებდა. ადგილი წარმოადგენია, თუ რა მხელია ასეთ ატმოსფერაში ცსოვრება. ამიტომ ვისურვებთ, რომ ადგილობრივმა ნოქრებმაც მიზამონ თავის თფილისელ ამხანაგებს, და თითონაც დაიარსონ საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება, რომელიც აღმოუჩინს და, როგორც ხიოთიერ, ისე სულთერ დამხმარებს.

უარყოფილი აღეპი.

ბ. ბათობი. ამ წელში აქ გახსნა სახლი პირველ დაწეებითი სასწავლებელი. სკოლა გახსნეს იმ შენობაში, სადაც აქამდე პეშების სახელზე გახსნილი სკოლა იმყოფებოდა, რის გამოც ეს უგანასკნელი იმულებული შეიქნა სსკაგან მოენახა ბინა, მაგრამ სკოლის გაძვის უთაურობით თუ დაუდგრობით ეს საქმე სირულეში ვერ მოვიდა თავის დროზე, რასაც ის მოუვა შედეგათ რომ ამ სკოლაში ჯერ სწავლა არ დაწყებულა. ამ ბოლო დროს სასკოლო შენობა გამოხასკეს სადაც ართვინის ქუჩაზე, სადაც სსკა-და-სსკა სოის უგანახები თავი არღან-მუსიკით ჭეუვიან თვით სკოლის შენობა აქ ხამდი უგანახა იყო. გასაკვირვალა, თუ რა ტეუაში მოუვიდათ ამ „დექანში“ სკოლის გადატანა! წარმოადგინეთ რადაც მადანის ძეგარი შენობა, რომლის ერთი მხარეც (ქუჩისკენ) მეძახხადის არის, წარმოადგინეთ იმის წინ და გვერდით უგანახები, საიდანაც განუწყვეტელი ქეიფის და ჩხუის სმა გამოისმის, რომელ ბიძგ ათასხაირი საეჭვო უოთაქევიის ქალები მუსლებზე უსსედან მოქეიყეებს და «მესც ღამასი, მეც ღამასი» მღროან, და გაძოვა სურათი, რომელიც მეონი არც ბ-ნ გრ. ვოლსკის მოეწონოს! მეტმე და დავიჯეროთ, რომ მთელ ბათუმში სადმე უკეთეს ალაგას ერთი სახლი არ მოინახებოდა, რომ დექანში და მეტე ასეთ ალაგას არ მოეთაესებინათ სკოლა? შეიძლება და ვიდრე იყო ასეთი სასლები, მაგრამ ქალაქის გამეკობამ მაინც აქ მოხასა, მაინც ეს აიჩინა! რისთვის, რათ? ეს ალღახმა უწეის! ეკონომია, რა თქმა უნდა ვარგია, მაგრამ ეკონომიის მსსვერზლათ რომ 7—10 წლის ბავშვების მომავალი გაგნადოთ, ეს დიდი ცოდვია!..

ლეო.

ს. მწერი (ქუთ. მწრა). თითქმის აგერ ათი დღეა, რაც რომ ჩვენში კოკისპირული წვიმებია, რომელმაც ერთობ სული შეუმალა მცხოვრებლებს რთველის დაწყებაში. სიმინდის

მოსავლას ჩვენს მხარეში კარგი პირი უნახს და ღვერის მოსავლის-კი დიდი ხანია არა ვიცი-რა: ძველი კენახები სადაც იყო ასმა და ახლის მოშენებას უიმედობისა გამო ვერავინ ბუდავს. ამერაგული ვახის მოშენებისთვის სული ჯერჯერობით არავის უსლია, გარდა ერთი ამ კუთხის თავად ა. ნაკაშიძისა, რომელმაც ეს ერთი წელია, ამ საქმეს მიჭეო სული. ამ ვახის გაუკრეკებლობის მიზეზი ის არის, რომ ბევრ საჩქარს თხოვლობს და საჩქებლობა-კი ჯერ არავის უნახავს.

მოაწია თუ არა სწავლის დაწყების დრომ ჩვენი კუთხის სასწავლებლების ეზოები აივსო მთხოვნელებით. ეწერს სასწავლებელში მთხოვნელთა რიცხვი ორმოცს აღმატებოდა, ადგილი-კი ოცის მეტი არ მოიპოვებოდა. იანეთის სასწავლებელში მთხოვნელი სამოცი იყო, ადგილი-კი არც ერთი. ამ გარემოებამ დიდი უგმყოფილება გამოიწვია მთხოვნელთა შორის. დმერთმა უწეის ვინ რას გაიძახოდა და ვინ რას! და ბოლოს რამდენიმე პირის შეგონებით მთხოვნელები დაადგნენ შემდეგ აზრს: თხოვეს ადგილობრივი საზოგადოების მამასახლისი მოესდინა, ურილობა, ვერძოთ იანეთისა და წინადადება მიეცა მათთვის ან პარალელური განყოფილება გახსნან და მეორე მასწავლებელი მოიწვიონ, ან და არსებული ერთ კლასიანი სკოლა ორ კლასიანათ გადაკეთებინათ შემდეგი პირობებით: რადგან სამინისტრო ამ სკოლას წლიურათ ოცდასუთ თუმანს ეწევა ეს ფულები დაენიშნათ მეორე მასწავლებლის ჯამაგირათ, პირველისთვის-კი სამას ორმოცდა ათი მანეთი თვით სოფელს გადაესადა და აგრეთვე სსკა ხარჯებიც გაეწია. თხოუმეტე ამა თვეს მოსდა ვიდრე ურილობა, მაგრამ ვისაც თავი ქედში ჭქონდა და ბავში შეუვანილი ჭეუვა, ან ვისაც სულ არ ჭეუვა სასწავლებელში შესაუვანი ბავში გვერდზე გაუდგენ ამ კეთილ საქმეს, და მარტო სამოცი კაცი-კი, რომელიც წინადადებას მიემსრენ, რას გასდებოდა. ამ გვარათ საქმე სასურველათ ვერ დაბოლოვდა. კარგი იქნება თუ უველა შეიგნებს და ერთათ მძერათ ერთ-ერთ აზრს დაადგებიან და არ მიაფრებენ ამ საქმეს, თორემ არც მომავალში ექნებათ სასწავლებელში სავილა ადგილი და ვიდრე სულცარიელი დარჩებიან.

ა. ნაცვალი.

რუსეთის ცსოვრება.

მოსკოვში «მქანაგურ წარმოებათა მუშების საურთიერთო დამხმარების საზოგადოების» უგანასკნელ კრებას (2 სექტ.) დაესწრო 500-მდე მუშა. კითხულობდა ნაფიცი ვეჭილი ბ. ვილენტი „გერმანიის აფთვასიან ბინათა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა მოქმედების შესახებ“. უგანასკნელი დროის ქალაქთა ზრდა იწვევს ბინების ვიწროობას, რომელიც უმთავრესათ უმწეო ხალხს აწევა თავს, და იგი იმულებულია «კუთხეებში» და საჩრდაფებში იბინადროს, მეტათ ანტისანიტარულ პირობებში. ეს მოკლენა ლექტორის აზრით, ერთნაირათ საშიშარია ღარბობა და მდიდართათვის, რადგან სულს უწყობს სსკა-და-სსკა გადაძებ სენის გავრცელებას და გერმანიაში დიდი უურადლება მიატევის მუშათა ბინებს. იქ გარდა სანიტარულ წესებისა ამ საქმეში დიდ მნიშვნელობას აძლევენ საზოგადოების ბინათა გაუმჯობესობის კითხვაში აქტიურ მონაწილეობას, არსდება საზოგადოებები, რომელთა მიზანია მუშებისათვის იაფი და საღი ბინების მიწოდება. ამ მიზნით მუშათა დამხმარე საზოგადოებას 1889 წლიდან 1899-მდე გაუცია სესხათ 52 მილიონი მარკა; 1892-დან 1899-მდე სასულემწიფო რეინის გზათა საპენსიო კასისა გადაუღვია თავის



წევრებისთვის ბინების სასაგებოთ 3.860 ათასი მარკა და აუგია 1,700 სადგომი. ქალაქის მმართველობები-ვი თავის მხრით ხელს უწყობენ ამ საზოგადოებებს და უთმობენ მიწას ფასდაკლებით. ფაბრიკანტებიც იღებენ მოწოდებებს ამ საქმეში, მათი დახმარება გამოისატა ორ გვარათ: ერთი—აშენებს სასაგებოთს, რომლებიც ნაწილ-ნაწილ ფასის გადახდით მუშის საკუთრებათ სდება, მეორე—აიფათ აქირებენ ბინებს მუშებს. ორივე ფორმას, როგორც სამართლიანათ ამბობს ლექტორი, ბევრი ნაკლი აქვს. ზირველი უმთავრესათ უფარვისათ მით, რომ მუშებს უშლის ადგილიდან ადგილზე გადასვლას, მეორეში კი დიდი ადგილი აქვს ქველმოქმედებას. ორივე ნაკლს მოკლებულია ასალი ტიპი „დასოვალე-ამშენებელ ამსანაგობათ“ (сберегательно-строительн. тов.) ამ ამსანაგობის ზაი ღირს 150 მან., რომლის შეძენა შეიძლება ნაწილობით—გვირავში 15 კაპ. შეტანით. სრული ზაის ზატრანს აქვს ხმა საზოგადოების საქმეების გადაწყვეტაში. ბერლინის ამ ტიპის ამსანაგობა არსებობს 1892 წლიდან, მას უკვე აუშენებია ექვსი მრავალ-სართულიანი სასლი—325 სადგომით. ამსანაგობას უკვს 1949 წევი ამათში 1.303 მუშაა. ბინები არის 1—3 ოთახიანი. უოველ ბინას აქვს აივანი, სამზარეულო, სარდაფი და სსუ. უოველ სასლს აქვს აბანო, სარეცხის ოთახი, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, საკრებულო დაწბაზი, საერთო სასადილო და სსუ. სასლები ღირს 218 და 860 ათას მარკამდე.

კრების მეორე ნაწილი მოანდომეს მოსკოვის მუშათა საჭირკებათა შესასკუ ბასს, რომელმაც გამოარგვია, რომ მუშები მოკლებული არიან იურიდიულ დახმარებას, და ასეთ დიდ ქალაქშია-ც-ვი როგორც მოსკოვია ახლავატებს უცხოეიან სელში.

— «მთავრობის მოამბეში» დაბეჭდილია: „სამინაო საქმეთა მინისტრი, თანახმათ გუბერნატორების მიერ წარდგენილ ცნობებისა, აცხადებს, რომ ქვემოთ დასახელებული მარკები საჩხოს მხრით გაჭირვებულნი არიან: საჩატოვის გუბერნიისა სვალინისა და კამიშინის მარკა; უფის გუბერნიისა, მენსკელინისა და ბელბუკის მარკა; ხარკოვის გუბერნიისა სტრობელსკისა და იზუმსკისა; უასნისა ღანშეკსკისა, მამადისკის, ტეტუშკისა, სხასკისა, სვიაუსკისა და ჩისტოპოლისა და სიმბისკისა გუბერნიისა სიმბისკისა მარკა.

— როგორც რუსეთის გასკეთებში ვკითხულობთ, ვერც ციმბირში იკიდებს ფეხს გადასასლება. «P. B.» ცნობით მიმდინარე წელს მეტათ ბევრი გადასასლებული (თავის ნებით რასაკვირველია) ბრუნდებიან უკან. ზირველ რვა თვის განმავლობაში ციმბირში გადასასლებულა 105 ათასი კაცი და დაბრუნებულა 36 ათასზე მეტი. უოფილას ესეთი დეკები, როცა უკან დაბრუნებულთა რიცხვი ჭარბობდა იქით მიმავლთ. ეს დაბრუნებულები მათხრობობამდინ არიან მისული, რადგან გადასასლების დროს სამშობლოში უკვლავფერი გაუყიდანათ და რაც რამე გზას გადაჩენია ისიც ციმბირში მოსასლებების მოწოდებისთვის მოუნდომებათ, და ესლას ხელცარიელი ბრუნდებიან სამშობლოში, საცა დიდი გაჭირვება მოკლით. «P. B.» გადასასლებულთა უკუქტვიის მიხეზებს სედავს როგორც საზოგადოთ გადასასლების საქმის მოუწოდებლობაში, აგრეთვე ადგილობრივ ზირობებში და ციმბირში წელს განმეორებულ მოუსავლობაში.

— „Астрах. Лист.“-ში დაბეჭდილია: ჩერნიოირის სამრეელო სკოლის უოფილ მასწავლებელ ქალს ვ. ვ. სტრასოვას თხუთმეტი წლის შეუწვევთელი სამსახურისათვის დეენიშა ზენსია... თვეში სამი მანეთი, და ისიც 1902 წლის 1 იანვრიდან.

— «Амурск. Газет.»-ის სიტყვით სოფელ ზელოვსკის გლეხის მ—თვის სოფლის სასამართლოს გადაწყვეტიაროზგით დასჯა, მაგრამ განხენი ვერ მოუყვანიათ სისრულეში, რადგან ერთი კაცი-ც-ვი არ გამოჩენილას, რომელსაც მიედლო თავის თავზე ჯალათის როლი. აქამდინ ამერის მსარეში როზგი არ უოფილას ზმარებაში, და ტომისკის სასოფლო სასამართლოს განხენი ზირველი მაგალითია.

— რუსეთში, არუის ვატრობის მონაზოლის შემოღებაში, სხვათა შორის ღოთობის წინააღმდეგ საშუალებასაც სედავდენ. თურს შედეგი მოკვას ამ მონაზოლიას ამას ნიუნინოვგოროდის მაგალითი გვიჩვენებს. მონაზოლის შემოღების შემდეგ იმ ზომამდე გაჭრელებულა ქუჩებში ღოთობა, რომ ქალაქის საბჭო იმულებული შეიქნა ურადლება მიექტია ამ სამწესრო მოკვლენისათვის. როგორც საბჭოს სსდომასზე გამოიჩვევას, ეს ქუჩაში ღოთობა ისეთ უმზგავსებათა და უსაქციელობათ იწვევს ქალაქში, რომ წარმოუდგენელია. სადამოობით (სმირათ ძალიან ადრე) სდება ქალების კამარცვის, შურანსყოფის მაგალითები. ამ ქუჩაში მოქეიფეთა ჯგუფები ითრევენ თავისს წრეში სასლგანდებს და რეენიან. უსაჭმელოთ არაუის სმამ ბეერათ კამარცვას და თურალოთ რიცხვი, რომელნიც ქუჩებში ტიტველ მიწასე ურან და ძინავთ; ამას მოკვას ავადმყოფობათა განშირება. სვანდალებისა და უწესობათა განშირებამ ადმინისტრაცია იმულებულ ჭყო ზოლიციელთა «პოსტები» მონაზოლის საკატრობთინ გადაეტანას.

ამ მიზეზით ქალაქის თვითმართველობა 1) თხრეს გუბერნატორს ადგრძალოს ქუჩაში ღოთობა, 2) დააყენონ ზოლიციელები უკვლას ღვინის საკატრობთინ და მათი ჯამაგირი გაიღონ სასკლმწიფო საზინიდან, და 3.) შეადგინეს განსაკუთრებული კომისისა იმ ტრედ მოკვლენათა გამოსარკვევათ, რომელიც მონაზოლიას მოკვას.

ს ა ს ღ ვ ა რ ე ა რ ე თ.

ამერიკის შვირთაული შტატები. გამოძიებამ დაამტვიცნა რომ ჩოლოვსს მაკ-კინლეის მოკვლის საქმეში ამსანაგი არ უოლია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საზოგადოება დიდ უკმაყოფილებას იჩენს ანარქისტებისადმი და მათი ზარტიის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას თხოულობს. ამერიკელების აზრით ანარქისტები სულ უცხოეთიდან მოსულელებია, (თუმცა ჩოლოვსი და ბევრი სხვაც ამერიკაში დაბადებული არიან). და თხოულობენ უკვლას ანარქისტები თავთავიანთ სამშობლოში გაგზავნონ, სასლ გადმოსასლებულებს მათი სამშობლოს ზოლიციის მოწმობები მანინც მოთხოვონ და სსუ. საზოგადოთ, როგორც უოველთვის მოსდება სოლმე ასეთი თვალსაჩინო მკვლელობის შემდეგ, საზოგადოება კამოროტებულია და მზათათ თავისუფლების ზრინციშებსაც უღალატოს.

— ნიუ-იორკში ოქტომბერში ქალაქის თავის არჩეენები უნდა მოსდეს. უკვლას დასი შეუდგა მზადებას. ნიუ-იორკის მცხოვრებთა და მისს ქალაქის თავს ძლიერ დიდი მნიშენელობა აქვს. ესლანდელი მმართველობის წესებით უკვლას უკმაყოფილონი შეერთდენ და ერთი დასი შეადგინეს. რომელსაც „რეფორმის დასი“ ქეია. რეფორმის დასს სწადიან, კოლუმბიის უნივერსიტეტის რექტორი სეტ-ლოუ აარჩიოს ქალაქის თავათ. ღაუს კავლენიანი სენატორი ზლატი ემსრობას.

ინგლისი. ირლანდიელების მეთაურებს განსრავსა აქეთ ამ შემოდგომასზე ბევრი კრება მოანდინონ. რამდენიმე კრება

მოსადინეს კიდევ. ამ კრებებზე დიდი ხნა და ვინ რადმონ-
დმა ილაშქრეს. ირლანდიელთ შეერთებული დასის მეთაური
ხრდილოეთ ამერიკაში ახირებს წასვლას; ამიტომ წარსულს
სამშახთს თავის ამომჩვეულებს გააკომპილიდა. სსკათა შო-
რის მეთაურმა უჩინა ირლანდიელების დასის, ამას იქითაც იმ
გზით იარეთ, რა გზასაც ამ ბოლოს დროს დაადექითო. რად-
მონდმა თქვა:

«პარლამენტის წარსულ სესიასზე ირლანდიის დასმა დი-
დი ძალა გამოიხინა. ეს ძალა ერთობასა და თანხმობასა და-
ყარებული. ჩვენი დასი არც ერთ ინგლისურ პოლიტიკურ დასს
არ უნდა შეუერთდეს, თავისი საკუთარი გზით უნდა მიდი-
დეს. ირლანდიელები მარტო თავიანთ საკუთარ საზღვრებს
უნდა დაეპყრონ. ჩვენი დასი კონსერვატორებსაც მიემხრობა,
ლიბერალებსაც, რადიკალებსაც და მუშათა დასსაც, ყველას,
ვინც კი დაგვიმხრობა, ჩვენი ეროვნული უფლების მოპოვებაში.
ინგლისელები იძულებული იქნებიან ირლანდიის საკუთარი პარ-
ლამენტი დაუწყონ. ეს საქმე მალე ასრულდება. ინგლისის
რომელიმე დასი უსათუოდ მოასდგის ამ რეფორმას. რასაკ-
ვირველად, ირლანდიის სურვილის დასაკმაყოფილებლად-კი
არა, თავისი საკუთარი საზღვრებისთვის მოასდგის. რომ
ამით ინგლისის პარლამენტი დაღუპვისაგან დაიხსნას (ტაშის
ტემა). ინგლისის პარლამენტი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი.
რამდენიც ბრიტანიის იმპერიას იხრდება, პარლამენტსაც იმდენ-
ნათ უფრო უმხელდება ადგილობრივი საქმეების განხილვა.
ამიტომ, ინგლისის პარლამენტი იძულებული იქნება ზოგი-
ერთა საქმე ადგილობრივ კანონ-მდებელ კრებებს გადასცეს.
ირლანდიასაც მიეცემა საკუთარი პარლამენტი და მასში ჩვენი
ქვეყანა თავის საკუთარ საქმეებს თითონვე მოაწოდებს.»

რადმონდი შეესო ირლანდიელ დემოკრატთა რიცხვის შემ-
ცირების ვითსავსა და თქვა:

«არა მჯერა, რომ უნიონისტებმა ეს მუქარა ასრულონ;
თუნდაც შეასრულონ, თავდაბთ ვადები, ოღონდ 60, 50 და
გინდ 20 მსხე დემოკრატები კი გვეყვანდეს პარლამენტში და უო-
კლეთვის მოკასურსებთ, ისევე ისე გავუჭიროთ საქმე ინგლისის
მთავრობას, როგორც კვლავ გაგვიჭირვებია ხოლმე.»

გერმანიის. ბერლინის საბჭომ ქალაქის თავის თანაშე-
შვეთ ისევე გაუფიქროს აიჩინა, რითაც იმპერატორი დიდათ უკმა-
ყოფილო დაჩვენდა.

საზრანგეთი. პირველ ოქტომბერს (ახ. სტ.) თავდება
ვადა, რომლის განმავლობაში უნდა გამოეთხოვთ მთავრობი-
საგან ნებართვა სასულიერო კონგრეგაციებს, მაგრამ ვერ სულ
მცირე ნაწილს შეუტანია ამის შესახებ თხოვნა. უმრავლესო-
ბას, როგორც ამბობენ, გადაუწყვეტია სულ უფროადლებოთ
დატოვონ ახალი კანონი, და აჩაგითარი თხოვნით არ მიმარ-
თონ მართებლობას. ნებაყოფლობით გადასასვლების წინააღ-
დეგოდ არიან, რადგან ეს მათი აზრით ხელს შეუწყობს მარ-
თებლობას. ნებართვას თხოვლობს მხოლოდ კაცების 27 და
ქალების 200 კონგრეგაცია. ამ კონგრეგაციათა თხოვნებს
პარლამენტი გააჩვენებს მხოლოდ მომავალი წლის დამდეგს,
რადგან საჭიროა სამინისტრომ ცნობები შეკრიბოს მოსხენე-
ბულ კონგრეგაციათა ხსენათისა და მოქმედების შესახებ.

— Journal de Débats განმეორებით გვარწმუნებს,
რომ მალე მილიერანი და ბოდენი სამინისტროდან გამოვლენ.

— პარლამენტის კრებები 9 ოქტომბერს დაიწყება.

ამსტერი. ავსტრიის მუშათა პარტიამ განუდი წლის
ბრიუნის კონგრესზე უფრადლება მიაქცია ეროვნულ ვითსავს
და აიჩინა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიხედო

ვითსავსის გამოჩვენება. ამ კომისიის შექმნა: თავისი მო-
სახრებანი და გამოაქვეყნა კიდევ, რათა უოკლ მთავრობის
იგი განხილული და მით მიეცეს საშუალება მომავალ კონგ-
რესს საბოლოოთ გამოთქვას თავისი აზრი ამ ვითსავსის შე-
სახებ.

კომისიის აზრით ერთთა-ერთი ხსნა საეროვნო ვითსავსის
გამოურვევლობის მდგომარეობს საზოგადო წყობილების
სრულ დემოკრატისაციასში, რომელიც შესაძლებელი იქნება თუ
საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭის ურთქნა შე-
მიღებული აჩვენებში, და სრული თანასწორობა და თავი-
სუფლება მიენიჭა იმპერიის ეროვნებათ. ამისათვის საჭიროა:
1) ავსტრია გარდამქმნეს დემოკრატიულ თანასწორ მოკავშირე
კრებისგან შემდგარ სასულემწიფოთ. 2) ძველ ისტორიულ და-
ნაწილების ნაცვლათ საჭიროა სასულემწიფო დაიყოს ავტონო-
მიურ ნაწილებით მისევეთ დასასულელებელ კრებისა. მართვე-
ლობა და ადგილობრივი კანონმდებლობა უნდა გადაეცეს ად-
გილობრივ ეროვნულ პალატებს (აჩვენებში საყოველთაო პირ-
დაპირი და ფარული). 3) ერთი და იმავე ეროვნების დამოუ-
კიდებელი ნაწილები შეადგენენ საერთო საეროვნო კავშირს,
რომლის კომპეტენციასაც ექვემდებარება ყველა საერთო საე-
როვნო ვითსავსი და საქმეები. 4) იმ კრების უფლებანი, რომ-
ელიც უმცირესობას შეადგენენ სხვა-და-სხვა ტერიტორია-
ზე უზრუნველყოფილ უნდა იქნენ განსაკუთრებული კანონით,
რომელიც პარლამენტს უნდა შეიმუშავოს 5) არც ერთ ეროვნებას
არ უნდა ექნეს უპირატესობა სასულემწიფოში. ამითი წუდება
სასულემწიფო ენის ვითსავს. ხოლო ცენტრალური მართებლო-
ბისა და ავტონომიურ შორის საერთოერთო ენის აჩვენებს მი-
ენდობა პარლამენტს.

ზვირთიხული შტატები. ჩოლგოსის საქმის გარ-
ჩვენა ასე მოხდა. ჩოლგოსი სასამართლოს დარბაზში შეიყვან-
ნეს და ორ დარჯ შეა დასვეს. ოლქის პროკურორმა ბრალ-
დებითი ოქმი წაიკითხა და დაძინავეს ჭკითხა: დაძინაშეკეთ
ცნობ შენ თავსა, თუ არაო. ჩოლგოსმა დაბალი ხმით უმა-
სუხა: „დაიას, დაძინაშეკ ვარო“. ბრალდებულის ვეჭილმა ლი-
უსმა გამოაცხადა: კანონის თანახმათ ბრალდებულის აძინარ
აღსარებას მნიშვნელობა არა აქვსო და ითხოვა, რომ ოქმში
ჩოლგოსის ჩვენება აძინარათ ჩაეწერათ: «არა ვარ დაძინაშეკ». სასამართლომ შეიწყნარა ვეჭილის თხოვნა და საქმის გარჩენა
განაგრძო. სასამართლოში მარტო იმათ უშეებდენ, ვისაც
ბილეთი აქვო. თავი ისე ეჭირა, თითქო არაფერს უყრს არ
უგდებსო; უძრავთ გაცემული იქდა სკამზე და თავის დამ-
ცველებისთვის ერთგვრაც არ გაუცია ხმა. ჩოლგოსს სამი ვე-
ჭილი იცავდა.

ვერ ნათიცი მოსამართლეები დაათვიცეს, მეტე პროკუ-
რორმა გამოაცხადა: ვეჭები დავამტაცო, რომ ეს ბოროტ-
მოქმედება განზრახ იყო ჩადენილიო. ამის შემდეგ მოწმეები
აღაშარავეს. უფრადლების დირსი მარტო მოწამე კოვენუმის
ჩვენება იყო: იქ დაეკისარი, როცა ჩოლგოსმა მაკვინილის
ესროლა. ჩოლგოსი რომ პირველათ აღაშარავეს, მამინაც და-
ვესწარიო. ჩოლგოსი დაწვრილებით, დაღაგებით უზასუსებდა
გამომძიებელს და, სსკათა შორის, თქვა: რამდენსამე დღეს
ზედი-ზედ დაუდგედი მაკვინილის მოსაკვლელათაო. ჩოლგო-
სი არა ჭკავდა ატაცებულ, სულთ-ავათიყოფ კაცსა.

მეორე დღეს სასამართლომ ყველა მოწმეების გამოკითხვა
გათავა. დამცველმა ლიუსმა გამოაცხადა: არ მეგონა, თუ ასე
მალე გაათავებდით საქმეს, ამიტომ ჩემი მოწმეები არ მომიუ-



კანიაო. მეტე სსსამართლას ნებათვით ჩოღგოსის დასაც-
ველათ სიტყვა წარმოთქვა:

«ნათიგმა მოსამართლეებმა მარტო ერთი რამ უნდა გა-
დაწვიტონ. მოწულე კანონის ძალით უოველი საუკეთესო საბუ-
თი ბრალდებულის სასარგებლოთ უნდა გამოიყენონ. ჩვენ ვე-
რაფერს ვიტყვით ბრალდებულის სასარგებლოთ; თითონ ბრალ-
დებული გავერბდა და თავის გასამართლებლათ ხმას არ იღებს.
ნათიგმა მოსამართლეებმა რომ გადაწვიტონ, ამ გაცს თითო-
ნაც არ ესმოდა, რას ჩადიდოდა, ამით დიდათ შემსუბუქებ-
დნენ მთელი ჩვენი ერის დარდას. უკეთესი ექნება უკვლას
გგონოს, რომ ბრალდებული სულთ ავადმოფი კაცია და არა
გულ-ჭკვი და გულ-ცივი მკვლეელი, ისიც მკვლეელი ისეთი
ღირსიულის კაცისა, როგორც იყო განსვენებული პრეზი-
დენტი.»

პროკურორმა უკვლამ მოწმეების ჩვენება მოკლეთ გაისეს-
ნა და თქვა: არაფერი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ
ბრალდებული სულთ ავადმოფი იყო, პირიქით, უკვლათფი-
დან ჩანს, რომ სწორე ჭკვის კაცი უოფიდა.

ამის შემდეგ ნათიგმა მოსამართლეები სათათბიროთ ცალ-
კე ოთახში გაიღწენ. ცოტა ხნის შემდეგ სასამართლას დარ-
ბაში დაბრუნდნენ და გამოაცხადეს: ჩოღგოსი პირველი სა-
რისისის მკვლეელია, ესე იგი განზრას მოფიქრებით მოჭკვლა
პრეზიდენტიო.

სამხრეთი აზრიკა. გაზ. „Daily News“-ის სიტყვით
ლორდ კიტჩენერი სამსახურს თავს ანებებს. უკვე დიდი სა-
ნია ამბობენ, რომ ინგლისის მთავარ-სარდალი შესამდებლათ
ველან თვლის თავის მოკვლეობას შესრულებას და გადაწვი-
ტელი აქვს დაისვენოს. სამხედრო სამინისტრო კი უარყოფს
ამ ამბებს.

— უგანასენელი ცნობები ინგლისელთა დამარცხებაზე და
კანის კალენიაში ამბობების გაძლიერებაზე სასოწარკვეთილე-
ბას გერის ლონდონის საზოგადოებას. მთავრობა კი ცივათ
ეკებება ამ ცნობებს, თითქო აქ არაფერიაო.

— ამ უგანასენელი კვირის განმარტობაშიც დიდი შე-
ტაკება მოუსდენიათ ბურებს და ინგლისელებს. დეპუტით იტ-
უობინებანი: იტლას ს.მაგრის მასლობლათ მომხდარ ბრძო-
ლაში მოუკლავთ ერთი ინგლისელი პორუზიკი და 11 სალ-
დათი; დაუჭრიათ 5 აფიგერი და 38 სალდათი. გარდა ამისა
63 კაცი უგზოუკვლოთ დაკარგულა. ბურების მსრივ მოუ-
კლავთ 250 კაცი და 300 დაუჭრიათ თუ ტუვეთ წაუუგანათ.
ბრძოლა გაგრძელეულა 19 საათს. ამ ბრძოლაში მონაწი-
ლეობას იღებდნენ: გეიერალი ლუი ბოტა, მაიორები: გრომე-
ლადი, ეშპეტი, დანჭაუზერი, ოპერმანი და სხვ.

— კიტჩენერი დეპუტით იუწეება პრეტორიადან: „დელა-
რეი 17 სექტემბერს დამით მედვალს ანლო პოლკონაჟ კეე-
ვირის ბანაკს დაეცა. ბურები 1000 კაცამდე იუვნენ. დელარეიმ
მეტათ მედვარი იერიში მიიტანა კეევირის რაზმზე. თავგან-
წირულმა ბრძოლამ ორ საათს გასტახა. ბოლოს ბურები დი-
დის ზარალით უგუაჭრეს. ინგლისელებსაც დიდი ზარალი მო-
უვიდათ: ორი ოფიციერი და 31 ჯარის-კაცი მოკლეს, 11
ოფიციერი და 48 ჯარის-კაცი მძიმეთ დაჭრეს და სამი ოფი-
ციერი და 26 ჯარის-კაცი სუბუქათ. ამას გარდა 40 დაჭრი-
ლის შესახებ ნამდვილი ცნობა არ მოსულა.

ოსმალეთი. «ბერლ. ტაკებლატ»-ის კონსტანტინეპო-
ლიდან სწერენ: „რუსეთის საელჩოს შეუტყვია, რომ სომხეთ-
ში დიდი შიშინაობაა. როგორც ჩანს, ქურთები ისევე მალე
დაეცემიან სომხებს. მონკლეები არაფერს არ არიგებენ და

სრულებითაც არა ზრუნავენ სომხებისათვის. ან კი რას გას-
დებინა? უკვლამ ქურთი კარგათაა შეიარაღებული. ოსმალეთის
მთავრობა კი იწმუნება, ტუეილად ეშინიან ხალხს, სომ-
ხეთში იმდენი ჯარი გუვავს, რომ წესიერების დარღვევას ვე-
რაფერს გაჭბედავსო».

კონეტუს.

ლ. ბერნეღან

ახლოვანდა შვედი ოსკარი ცხოვრობდა პარიუში და
მხატვრობასა სწავლობდა. ის ყოველთვის მხიარული იყო,
რადგანაც კეთილი გული ჰქონდა. მართალია ის არ გა-
ურბოდა სხვა-და-სხვა ვნებებს, მაგრამ თვისი გული კი
ყოველთვის წმინდათა ჰქონდა შენახული და მცირე და-
ნაშაულობას ხანგრძლივის შენახებით გამოიყილდა ხო-
ლომე და მის სახეზე კვლავ ეფინებოდა სხივი სათნოებისა.
ის ხშირათ შეირბენდა ხოლომე თვის მეგობრებთან და შე-
ძახებდა მათ: „ძმებო, წავიდეთ ერთი ვიქიფოთო“ და
ყველანი ერთათ ჩვეშვებოდენ ტრაქტირში, სადაც მათ
წინ გაიშლებოდა სუჟრა სუნენლოვანის ტკბილეულო-
ბისა გემრიელი ღვინით; მაგრამ ოსკარი ზომიერათ სკამ-
და და ოღნავ ეკარებოდა სტაქანს, რადგანაც ფილა
მისი ცხოვრებისა სავსე იყო პირამდე, და ყოველი წვე-
თი ზედმეტი იქნებოდა. ერთხელ ოსკარი წავიდა იტა-
ლიანურ ოპერაში, მას სურდა ენახა მოცარტის ღონეუა
ნი. ის ჩაერია კასასთან მდგომ ხალხში და ამოილო ჯი-
ბიდან ტალერი, რომ ეყიღნა ბილეთი, რამწამსვე კასა
გაიხსნებოდა. ამ დროს მას ვილამაც უცაბედათ წაჰკრა
ხელი და ოსკარს ტალერი ძირს დაუფარდა. დაუწყო ძე-
ბნა, მაგრამ ამათ. უცებ მის წინ მიხობდა ვილაც ბერი-
კაცი ყავარჯენზე დაბჯენილი და გაუწოდა ოსკარს და-
კარგული ტალერი. „შეინახეთ თქვენთვის თქვენი შრო-
მის სასყიდელათ, პატიოსანო კაცო“, უთხრა ოსკარმა.

— შრომა მაგდენი არაფერია, მიუგო ბერიკაცმა,
და ეს ტალერი ძრიელ დიდი საფასური იქნება მისთვის.

— ჩემთვის არაფერს შეადგენს,— მიუგო ოსკარმა.
მაგრამ ოსკარი მდიდარი არ იყო და ამიტომ ის მალე
გაეშურა სახლისაკენ. მას შერცხვა თავისი გულუხვობი-
სა. ის ცხოვრობდა ქალაქის განაპირა უბანში და მიდი-
ოდა იქით გარქარებული ნაბიჯით. როდესაც ის მიუახ-
ლოვდა თავის სახლის კარებს, მან შენიშნა კარებთან ატუ-
ზული მათხოვარი ბერიკაცი, რომელიც ოსკარს გამო-
ეხმაურა:

ძრიელ მარდი ყოფილხართ თქვენ, ყმაწვილო!

— მაგრამ თქვენ კი უფრო მჯობნებინართ, მიუგო
ოსკარმა.

— მე ვიახელით ეტლით და არა ფეხით, უთხრა ღი-
მილით ბერიკაციმა.

ოსკარმა გაოცებით შეხედა.

— თქვენ, როგორც გეცნევათ, ძრიელა გყვარები-
ათ ნებიერობა, მიუგო ოსკარმა და უნდოდა შესულიყო
სახლში, მაგრამ ბერიკაციმა გზა გადაუღობა.

— ნუ ჩქარობთ, ყმაწვილო, მოიცადეთ, მე არ მი-
ნდა, რომ თქვენ ცუდი აზრისა იყოთ ჩემზე, რადგანაც
მე თქვენი ტალერით ვისარგებლე. თქვენ გგონიათ ადვი-
ლია მათხოვრობა? აბა ერთი ცადეთ. ძნელია მიცემა,
მაგრამ უფრო ძნელია გამოართმევა, ხოლო უფრო უძ-

ნელესია თხოვნა. ხშირათ რომელიმე მდიდარ მოქვიფე ბატონის წინ, რომლის ცარიელ თავის ქალას მე დიდი სიამოვნებით ვაქვქვყავდი აი ამ ყავარჯენით; იძულებული ვარ ქუდი მოვიხადო და მაშინ უფრო ერთი-ორათ ვგრძნობ რა მძიმე ხელობაა მათხოვრობა. გუშინ ბინდისას, ერთი პატიოსანი კაცის სახლიდან გამოვიდა ვიღაც მანტიაში შეხვეული, ამ კაცმა შეაცდინა სახლის პატრონის ქალიშვილი. — Noubliez-pas, le garçon! წაფიქრულე მე მას და გავუწოდე ხელი. საძაგელმა გაიღიმა და მომაწოდა ოქრო. ოხ, ძნელია, ძნელი მათხოვრობა. მე ბევრჯერ ვაუშვი შემთხვევა, როდესაც შემეძლო მომეწყო ცხოვრება კარგათ. მაგრამ ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი ყოფილა. თვით ტანჯვასაც კი შეეჩვევა ხოლმე გული და გადაექცევა ჩვეულებათ.

ოსკარი იდგა ბერიკაცის წინ გულხელ დაკრეფილი და უგდებდა მას ყურს.

— ძრიელ გონივრულათა იცით თქვენ, ბეროკაცო, — მიუგო ბოლოს ოსკარმა, ჩანს დრო ამოთ არ დაგიკარგავთ. ღამე მშვიდობისა... გამოესალმა ოსკარი მოხუცს და უნდოდა წასულიყო, მაგრამ ბერიკაცმა კვლავ შეაყენა.

— არა, მოიცადეთ ცოტა ხანი კიდევ, უთხრა მათხოვარმა, თქვენ გინდოდათ დღეს დამტკბარიყავით ოპერით, მაგრამ ეს სიამოვნება მე შემაპწირეთ. ღამე დიდა, რა გეჩქარებათ. წავიდეთ ჩემთან, მე ბევრს კი ამბავს ვიამბობ. ხელავე აგერ აი იმ სახლს, გერბი რომ აკრავს, მე იქა ვცხოვრობ.

— ეხედავ, მიუკო ოსკარმა, მაგრამ თქვენი განზრახვა მე ვერ გამიგია.

— ხომ არ გეშინიათ ჩემი, ყმაწვილო კაცო, ხომ ხედავთ მე როგორი სუსტი ვარ და ბებერი.

— სწორეთ იმიტომ შეშინიან, რომ თქვენ ბებერი და სუსტი ხართ, რადგანაც მე არ შემეძლიან ეიხმარო თქვენ წინააღმდეგ ძალა.

ბერიკაცმა წაავლო ოსკარს ხელი და წაიყვანა თითქმის ძალათ თავის სახლისაკენ. მათხოვარმა ოდნავ ფეხის დაკვრით შეაღო კარები და გაუძღვა წინ ოსკარს კიბეზე ზემო სართულში. ბერიკაცმა გაჰკრა სიჩქარს და აანთო სანთელი. ოსკარმა, როდესაც მიაღწა მოავლო თვალი ოთახის მოწყობილებას დიდათ განცვიფრდა, რადგანაც ამ მათხოვარს შევნივრათ ჰქონდა იქაურობა მორთული.

— საწყალო მათხოვარო, თქვენ შევნივრათ სცხოვრობთ, როგორც გეცნევათ, უთხრა ოსკარმა.

— მართალია, მიუგო მოხუცმა, მაგრამ აქ არაფერი მოპარული არ არის, ყველა ეს ნაშოვნია პატიოსანი თხოვნით, გარდა ამისა, მე ვჯადოსნობ კიდევ, — დაუმატა მან ღიმილით.

— მართლა, გაიკირვა ოსკარმა, აბა მაშ მეც მიჩვენეთ რამე თქვენი ხელოვნებიდან.

— არა ხუმრობთ? მაშ გინდათ დაგიმტკიცოთ? ერწმუნებით თუ არა თქვენ თქვენს გრძნობას.

— არადროს, მიუგო ოსკარმა, მე არ ვერწმუნები გრძნობას, რადგანაც გრძნობა ხშირათ სცდება და ყოველთვის შეიძლება მისი მოტყუება. ისევ სხვა მოატყუეთ მაგ თქვენის ფოკუსებით.

— ნუ, ნუ დეოდებით ასე, ყმაწვილო კაცო, ჯობსია ჯერ თითო ჭიქა გადავკრათ.

ბერიკაცი გავიდა და შემოიტანა გარედან სამი ბოთლი ღვინო.

— როგორც ვხედავ, თქვენ ხამი არ უნდა იყოთ ამ საქმეში. უთხრა ოსკარმა, როდესაც დაინახა ღვინიანი ბოთლები.

— არა, მე სრულებითაც არ ვიხსენებთ ღვინოს, მე ეს თქვენთვის შემოვიტანე და თუ ხამი ბოთლი არ იკმარებს, კიდევ შეიძლება მოგართვათ, უთხრა ბერიკაციმა და დაასხა ჭიქაში ღვინო. ოსკარის თვალები ღვინის დანახვაზე ცეცხლივით აენთენ. მას არასდროს არ ენახა ამისთანა საუცხოვო ღვინო. ის ვერცხლის ფერათ ბზინავდა სტაქანში და ყოველი ცვარი როგორც ქალის უუჟუნა ლამაზი თვალები ისე გამოიყურებოდნენ სტაქანიდან. ოსკარმა ჭიქა გამოცალა. მოხუცმა კიდევ ხელმეორეთ აუვსო. ოსკარს ერთი მეორეზე გადაქონდა ჭიქა და ბერიკაციც გამაღებელი უსხამდა. ოსკარის ძარღვებში სისხლი ნაკადულივით აჩუხჩუხდა, გულმა ძალზე ცემა დაუწყო, ტუჩები უთრთოდნენ.

— შევნივრი ღვინო გქონია, ბეროკაცო, შევნივრი!

— მართალია, მიუგო ბერიკაცმა, მაგრამ მე სხვაც მაქვს რამე ამაზე უკეთესი.

— მოიტა, ძამია, რაღას ალოდინებ, თუ კიდევ გაქვს რამე.

— ცოტადენი მოითმინე, ყმაწვილო კაცო, მე მიინდა შენ ჯერ სხვა რამ გიჩვენო.

ამ სიტყვებზე აიწია ფარდა და გამოჩნდა საუცხოვო ბროლის დარბაზი. რაც-კი რამ დედამიწის წიაღში იმალება, და რაც კი რამ შეუქმნია შევნივრია ადამიანის ხელს, ყველაფერი აქ იყო. ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები და თვალ-მარგალიტები ფენადნენ იატაკს და კედლები მორთული იყო შევნივრ ქანდაკებით, საუცხოვო იარაღით, და ყველა ამას ზედ ერთობოდა სამოთხის ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობა და მოფენილ ოქრო-ვერცხლზე ფრთხილი. ოსკარი გაოცებული იდგა. ის ხან ერთსაგანს მიაშტერდებოდა ხან მეორეს და ხან მეტის-მეტი დაღლილობისგან ხუჭავდა თვალებს.

— წამიყვა თან, წამიყვა თან! — შემოესმა ოსკარს უცებ ვისიღაც ნაზი ხმა.

ყმაწვილმა მიიხედა უკან და დაინახა პატარა შაშვი, რომელსაც ყელზე ეკიდა ოქროს სანკუთხიანი საყელური, მოფენილი თვალმარგალიტებით. ოსკარმა ველარ მოაშორა თვალი ამ შევნივრებას.

— წამიყვა თან, წამიყვა თან, ჩაიჭიკჭიკა კიდევ შაშვი.

— მოხუცო, თქვენ უნდა მაჩუქოთ მე ეს საყელური.

— კი არჩევა გცოდნია! მე მაგაში მივეცი სამი საყელური.

— კეთილო მოხუცო, ღვთის გულისათვის ნუ მეტყვი უარს, თქვენ ისედაც დიდძალი სიმდიდრე გქონიათ. კვლავ გაუმეორა თხოვნა ოსკარმა.

— არა, ბატონო, მაგას კი ვერ მოგცემთ და სხვა რაც გინდათ, ისა მთხოვეთ.

— წამიყვა თან, წამიყვა თან! ჩაიჭიკჭიკა კიდევ შაშვი.

ოსკარი წაეწოდა საყელურს, მოხუცმა შეაყენა ის.



ყმაწვილმა მიაწყვიტა მოხუცი გვერდზე და მოხუცმა ას-
წია დასარტყმელათ ყავარჯენი. მაშინ ოსკარმა წაქცია
ის იატაკზე და ერთის თვალის დახამხამებაზე ჩაურქო
გულში იქვე კედლიდან ჩამოღებული ხანჯალი. ამ დროს
კი შაში იხვე თავისას გაიძახა:

„წამიყვა თან, წამიყვა თანო“. ოსკარმა მოსწყვიტა
ტა შაშის საყელური და გაეშურა კარებისაკენ, მაგრამ
ამ დროს ერთხმით მიაძახეს დანარჩენმა ფრინველებმაც.
„წაგვიყვა ჩვენც, წაგვიყვანე ჩვენცო“. ოსკარმა უკან მო-
იხედა და მისი თვალები შეხვდნენ ბერიკაცის მომაკვდავ
თვალებს. ის შიშმა აიტანა, სახე გაუფიქრდა, მუხლებმა
კანკალი დაუწყეს.

— კაცის მკვლელი! კაცის მკვლელი! ჩამოსძახოდნენ
ზვიდან ათი ათასი ხმები. ოსკარი აღელვებული სწოვ-
და სისხლიან ხანჯალს და მისი ბასრი წვერი უნდა ჩაე-
შვა თვის მკერდისთვის, მაგრამ მისი ხელი ვიღამაც დაი-
ჭირა. მოხუცი იდგა მის წინ, უყავარჯნებოთ, მის თოვ-
ლივით თეთრ ტანისამოსზე გადმოფენოდა გრძელი ჭ-
ლარა წვერი.

— ოსკარ, უთხრა მოხუცმა, შენ არ გინდოდა დგე-
ჯერებინა შენი გრძნობებისთვის მაგრამ შენს გულს კი, რა-
საკვირველია ერწმუნები. პატიოსანო ყმაწვილო, შენი
გონება შეიბჰრო ღვინომ, შენ გახდი ქურდი, შენ გახ-
დი კაცის მკვლელი, გჯერა თუ არა, რომ მე მცოდნია
ჯადოსნობა? ოსკარი შერცხვენილი დაეცა მუხლებზე ბე-
რი კაცის წინ.

— მამატივე, მოხუცო, შესთხოვა საბრალო ხმით
ოსკარმა.

— ადექ, შეილო, შენ არაფერში არა ხარ დამნა-
შავე, ყველა ეს მხოლოდ მოჩვენებაა.

— მოხუცო, მოაცალე ჩემს თვალებს ყველა ეს სიმ-
დიდრე, რომელმაც დამანახვა ჩემს გულში აქნობამდე
დაფარული ჯურღმულები.

ბერიკაცმა გაიქნია ხელი და უცებ მიიმალა ყველა-
ფერი, გარდა ოსკარის შემაცდენელი საყელურისა.

— დამალე ეგეც, სთხოვა კვლავ ოსკარმა.

ბერიკაცმა შეახო ხელი საყელურს და ის უცებ შეე-
ნიერ თაიგულათ გადაიქცა.

— აიღე აი ეს ყვაილები, უთხრა მოხუცმა, მაგრამ
შეინახე მათ შორის მხოლოდ ვარდი. ეს არის ეძლება
სიკბუკისა და ტანის სიმრთელისა. ვიდრე იგი ყვაი-
ლობს, ყვაილობენ დანარჩენნიც. ჯანის სიმრთელე სა-
თავეა ყოველივე კეთილისა. დაჰკარგე ის, მაშასადამე და-
კარგე ყველა დანარჩენიც. გაიგე, შეილო ჩემო, ვხლა ვი-
ნა ვარ მეწყიურნი სულნი მმორჩილებენ მე, მე მეძახიან
ისენი: ჯადოსან გენეტუსს. ხალხს კი მე უბრალო კაცათ
ვეჩვენები. ორასი წელია, რაც ქვეყნათ დავდივარ და ვე-
ძებ, «სათნობას» მე მას ხშირათა ეპოულობდი, მაგრამ
შორს იყო მისგან ბედნიერება. მე ეს მიშხამავდა გულს
და სულს. მიწამლავდა სიცოცხლეს ბიწიერება, რომელიც
სიმართლეს მათხოვარას ეძახდა. შენ კეთილი და მასთან
მხიარული და ბედნიერი ხარ, ოსკარ. მე ჩემის ჯადოს-
ნობით არ შემეძლიან მიუმატო რამე შენს ღირსებებს.
მაგრამ მე ისენი მინდა გავაცისკროვნო, მე მინდა უფრო
მეტე ნათელი მოვფინო შენს ბედნიერებას, რათა ყოვე-
ლი კეთილი ადამიანი უფრო გამხნევდეს და ბოროტათ
აღარ შეეძლოთ სიცილ-ხარხარი მათზე. აიღე აი ეს სამი

ნიშანი. ერთი მათგანი არის ცოდნა, მეორე სიმდიდრე,
და მესამე—სიძლიერე. შენ უნდა ამოიჩიო ამ სამში
მხოლოდ ერთი და დანარჩენი უნდა უარპყო. ოსკარმა
ათრთოღებული ხელებით შეახო ნიშნებს. ის დედავდა
და საშინლათ უცემდა გული, მას უხაროდა, რომ შეეძ-
ლო თვის ნებაზე ამოერჩია ამ სამს ღირსებაში ერთ-ერ-
თი. მან პირველათ «ცოდნაზე» შეაჩერა თავისი არჩევანი
და დაემზადა, რომ უარეყო დანარჩენი, მაგრამ კეთილმა
სულმა შეაყენა ის და ოსკარი წავიდა ღრმა ფიქრებში.
(დასასრული იქნება)


* * *

სანამ ცოცხალ ვარ და გრძნობა ჩემში
ოდნავდა მაინც ბუტავს ფერმკრთალი,
ვიდრე თვალთ მიჩანს და ყურთა სმენაც
ჯერ სამუდამოთ არ არს გამქრალი;
მანამდი მათთვის ვილოცავ მარად,
მათთვის ვარ მხოლოდ დაბადებული,
მათ ემონება და მათ უგალობს
მათთვის მღელვარი ეს ჩემი გული!
თუ გინდ მეწვიოს მწარე სიკვდილი,
ძალა და გრძნობა მომტაცოს სრულათ,
თვალთ დამიბნელოს, ენაც წამართვას,
ჩამქიდოს ხელი ფარულათ, მტრულათ.
თუ გინდ შავს მიწას ლუკმათ და კერძათ
მიცენ სხეული ბედით კრულისა,—
ბნელ სამყოფელშიც, შემანძრევს გრძნობა
მშობელი ერის სიყვარულისა!..
ღარა ხუნდაჰე.

ზნეობრივი კითხვები.

1679 წელს ინგლისში გარდაიცვალა შესანიშნავი
ფილოსოფოსი გობბსი და თითქმის ასი წლის შემდეგ—
1778 წელს—საფრანგეთი სამუდამოთ გამოეთხოვა თავის
ორგინალურ რუსსოს, რომლის გავლენა ევროპის აზ-
როვნებაზე დღესაც არ შეწყვეტილა. ეს ორი ფილო-
სოფოსი თითქმის მისთვის დაიბადნენ, რომ კაცობრიობი-
სათვის დაენახვებიათ, თუ რა სრულებით სხვა-და-სხვა
შეხედულების შეიძლება იყონ სხვა-და-სხვა პირნი ერთი
და იმავე კითხვის შესახებ. პირველის აზრით ყოველი
ადამიანი თავის მოქმედებაში მხოლოდ საკუთარ ინტე-
რესს ემორჩილება; სიამოვნების სიყვარული და ტანჯვის
მორიდება,—აი საფუძველი ზნეობისა; ერთი ადამიანი
მეორის დაუძინებელი მტერია—homo homini lupus; მას
ყოველისფერი თავისთვის უნდა, ერთი ადამიანის სურ-
ვილს მეორის სურვილი ეღობება წინ და ამიტომ ბუ-
ნებრივ პირობებში ერთი ადამიანი მეორეს ებრძვის და
ყველა ერთმანეთს—bellum omnium contra omnes;
ასეთ ბრძოლაში აშკარაა ძლიერი გაიმარჯვებს და ამი-
ტომ ბუნებრივ მდგომარეობაში ერთათ ერთი უფლება
ძალაა. აი როგორ უყურებდა გობბსი ადამიანის ბუნე-
ბრივ მდგომარეობას.

რუსსოს მოძღვრება-კი სრულებით ამის წინააღმდე-
გია. მის თვალში ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა სი-
კეთეა, საზოგადოებრივი-კი ბოროტება; ბუნებამ ადამი-
ანი დაბადა კეთილ, ბედნიერ და თავისუფალ არსებათ;
საზოგადოებამ-კი ის ბოროტათ აქცია, გააუბედურა და



მონათ გახდა. რუსსო არ უარყოფდა, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანი ველური იყო და ევროპიელზე დაბლა იდგა, მაგრამ სამაგიეროთ მაშინ ყველას ერთნაირი უფლება ქონდა, ყველა ბედნიერი იყო, ყველა თავისუფალი, და კეთილი და ამიტომ რუსსოს თვალში კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე საზოგადოებრივი, რომელიც კერძო საკუთრებაზე აშენდა და ადამიანი უბედურ და ბოროტ მონათ აქცია. როგორც გობბსის დროს ისე რუსსოს დროსაც მეცნიერება იმდენათ სუსტი იყო და უმთავრესათ დედუქტიური, რომ წარსულის დასაფასებლათ არავითარი მასალა არ არსებობდა, გარდა საკუთარი რწმენა-შეხედულებისა. ბუნებრივი მდგომარეობის დაფასებაში როგორც რუსსო, ისე გობბსი, საკუთარი რწმენითა და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებით ხელმძღვანელობდნენ. განვითარდა მეცნიერება, რომელმაც შუქი მოფინა ადამიანის წარმოშობის ბნელ კითხვას, განვითარდა ეტნოგრაფია, გაადვილდა მისელო-მოსვლა და დღეს გამოაშკარავდა, რომ რუსსო ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის დაფასებაში შემცდარი იყო, გობბსი-კი მართალი.

ადამიანი წარმოადგა უაზრო, უგონო არსებისაგან და თანდათან განვითარების წყალობით დღევანდელ ფიზიკურ მდგომარეობამდე მოაღწია. ამგვარათვე ვითარდებოდა მისი სულიერი ორგანიზაცია; ყველა მისი გრძობანი ნელი განვითარების ნაყოფი არიან და ყოველივე იმის ნიშნები, რასაც ჩვენ ადამიანის ფსიხიკაში ვხედავთ, პირუტყვებშიაც მოიპოვება. გრძობელობა, წარმოდგენა და იდეათა ასოციაცია რომ ძალიან ბევრი პირუტყვის ფსიხიკაშიც ხდება, ამაზე ბევრი მკითხველი დამეთანხმება; როდესაც ძალდი მონარჩენ პურს მიწაში მალავს და, როცა მოშივა, ისევ ამოიღებს, ეს აღარ არის ინსტიქტი ან ავტომატური მოძრაობა, არამედ ისეთი რთული ასოციაცია იდეებისა, როგორიც ზოგიერთი ველური ხალხის აზროვნებას დღესაც-კი ვერ შეუმუშავებია. ამიტომ ზნეობის კითხვის გამოსარკვევათ უმალ პირუტყვებს მივმართოთ და შემდეგ ადამიანს.

ოთხფეხთა და ფრინველთა დიდ სამეფოს რომ თავალი გადავაელოთ, დაინახავთ, რომ ზოგი მათგანი ცხოვრობს ცალცალკე, ზოგი-კი სხვებთან ერთათ. რა არის ამის მიზეზი? ერთს რა აიძულებს განმარტოებულათ ცხოვრებას, მეორეს-კი სხვებთან ერთათ ცხოვრებას? ამის პასუხი ერთათ ერთია:—საკუთარი სარგებლობა, ან სარგებლობა მთელი მოდგმისა. ორგანიულ ცხოვრებაში ორი მთავარი ფუნქცია არსებობს: თავის თავის დაცვა და დაცვა მთელი მოდგმისა, თუ ორივე ამ ფუნქციას და განსაკუთრებით პირველს ცხოველი განმარტოებული ცხოვრებით უკეთ ასრულებს, მაშინ, რა თქმა უნდა, ის სხვებს აღარ შეუერთდება; თუ ამ ფუნქციათა ასრულება უფრო ადვილია სხვებთან ერთათ ცხოვრებით, მაშინ ცხოველიც განმარტოებულათ ცხოვრებას სხვებთან ცხოვრებას არჩევს.

უმეტესი ნაწილი იმ ცხოველებისა, რომლებიც ხორცეულით საზრდობენ, განმარტოებულათ, ცალცალკე ცხოვრობს, რაც ადვილი ასახსნელია: ასეთი ცხოველი უნდა დაეცეს თავს ისეთ პირუტყვს, რომელიც მაზე სუსტია, უნდა უთვალთვალოს მას ისე, რომ უკანასკნელმა ვერ დაინახოს შორიდან, უნდა მიეპაროს, ამი-

ტომ მისთვის მარტო ცხოვრება უფრო სასარგებლოა ვიდრე საზოგადოებრივი. თუმცა არიან ისეთი მხეცები, რომლებიც სხვებთან ერთათ ცხოვრობენ, როგორც მაგალითათ მგლები, მაგრამ ესეც ადვილი ასახსნელია: მგელი ხშირათ წაატყდება ხოლმე ისეთ პირუტყვს, რომელსაც მარტო ის ვერაფერს ვერ დააკლებს; მგელი არ არის იმდენათ მარდი, რომ დაეწიოს ბევრ ისეთ პირუტყვებს, რომლებიც იმის საზრდოს შეადგენენ. ამიტომ ის იძულებულია, სხვებთან ერთათ იცხოვროს, რომ უფრო ადვილათ მოერიოს და უფრო ადვილათ დაიჭიროს დიდი პირუტყვი, სამაგიეროთ მელა, რომელიც უმთავრესათ ფრინველებზე და თავგვებზე ნადირობს, ყოველთვის მარტო ცხოვრობს, რადგანაც ასეთ საზრდოს ის მარტოც შევნიერათ შოულობს, მაძოვარ ცხოველთა უმეტესი ნაწილი საზოგადოებრივ ცხოვრებას ეტანება; ბალახი მათთვის ბლომათ არის, ამიტომ ერთათ ცხოვრება საზრდობის მხრით არც ერთისათვის საზარალო არ არის, სამაგიეროთ ერთათ ცხოვრებას დიდი სარგებლობა მოაქვს მათთვის: მტერს უკეთ შეამჩნევს მთელი ფარა და ჯოგო და უკეთაც მოიგერებს მას, ვიდრე ერთი პირუტყვი. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს გარეული ხარებისა და ცხენების თავის დაცვა: ერთ ხარს ან ცხენს ერთი მგელიც-კი ერევა, მაგრამ როცა მთელი ჯოგია ერთათ, მაშინ ლომიც-კი ვერ მიხედავს.

კურდღელი თუმცა მარტო ცხოვრობს, მაგრამ ამის მიზეზი იგივე თავის დაცვაა: კურდღელი იმდენათ სუსტი ცხოველია, რომ რა დიდი საზოგადოებაც უნდა შეადგინოს, ვერავითარ მტერს ვერ მოიშორებს; ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრება მისთვის არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს, ზარალს-კი: მთელ ფარას კურდღლებისას გაცილებით უფრო ადვილათ შენიშნავს მტერი, ვიდრე ერთ მათგანს, მთელი ფარის მალე დამალვა ძნელია, ერთი კურდღელი კი გაცილებით უფრო ადვილათ მიიმალება და გადურჩება მტერს. ექვს გარეშეა, რომ როგორც ხორცის მჭამელი მხეცები, ისე მაძოვარი პირუტყვები თავდაპირველათ სათითაოთ ცხოვრობდნენ, მაგრამ ცდამ და დაკვირვებამ თანდათან მიიყვანა ზოგი მათგანი იმ დასკვნამდე, რომ მისთვის საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო სასარგებლო იყო, ზოგი-კი იმ დასკვნამდე, რომ მისთვის სათითაოთ ცხოვრება ჯობდა. რა შედეგი უნდა მოყოლოდა პირუტყვებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებას? ამის გასაგებათ ისევ მაგალითებს მივმართოთ. როდესაც ერთ ცხვარს მოაშორებთ მთელ ფარას, ის ბღავის, მოუსვენარია, გაუშვებთ თუ არა მაშინათვე ფარას მიაშურებს და დამშვიდდება. როდესაც გალიაში დატუსაღებულ კაქკაჰთან სხვა კაქკაჰები მიფრინდებიან, მის მხიარულებას საზღვარი აღარა აქვს; ამ გვარათვე იქცევიან ცხენი, ძაღლი და სხვ. აქედან ცხადია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება სახავს და ავითარებს პირუტყვში ერთგვარ გრძობას, რომელსაც საზოგადოებრივ გრძობას, საზოგადოებრიობას უწოდებენ. გახედეთ მინდორში გარეულ ტრედებს,—თუ ერთმა შენიშნა მტერი და თავი მალდა აიღო ან გაფრინდა, სხვებიც მას მიყვებიან; ამავე მოვლენას შენიშნავთ გარეულ იხვებში; ვინც მონადირეა, გამოცდილი ექნება შემდეგი: როდესაც ის ეპარება რამდენიმე იხვს, თუ ერთ მათგანმა დაინახა და გაფრინდა, თუნდ ყველას დაენახოს,—



ყველა გაფრინდება. ცხვრის ფარაში თუ ერთს შეეშინდა რისამე და გაიქცა, სულ ყველა მას მისდევს უკან და ასეთი მიბაძვით ხანდახან მთელი ფარა კლდესე ვარდება. როდესაც ერთი ბატკანი, ინდოური, ქათამი ან ბატკი მხიარულების ნიშნათ კუნტრუშსა და ხტუნვას დაიწყებს, დანარჩენებიც მას აყვებიან ხოლმე. ამ გარდაცემას ერთმეორეზე შიშისას, მხიარულებისას, საერთო მოძრაობისას და სხვ. ეწოდება სიმპატიური გრძობა. საკითხავია, რანაირათ განვითარდა ეს სიმპატია პირუტყვის ბუნებაში? წარმოვიდგინოთ, რომ გარეულ თხებს რამდენჯერმე თავს დაეცა ლომი საზარელი ღრიალით და რამდენიმე მათგანი გაგლიჯა. აქ ერთათ მოქმედებენ მხედველობითი გრძობელობანი და სმენელობითი; ყოველი მათგანი ტოვებს პირუტყვში შესაფერ წარმოდგენას. იღვათა ასსოციაციის ძირითადი კანონი გვეუბნება; როდესაც რამოდენიმე წარმოდგენა ერთათ მიუღია ტენის, ერთი მათგანის აღდგენა დანარჩენებსაც გამოიწვევსო. ამიტომ საკმარისია რამოდენიმე უბედურების შემდეგ თხის ფარამ ლომის ღრიალი გაიგონოს, რომ თვალწინ წარმოუდგეს ლომი, გაგლეჯილი ამხანაგები და დაებადოს ის ემოცია, რომელსაც შიში ეწოდება. ეს შიში ყოველ თხაში იწვევს სხვა-და-სხვა მოძრაობას: თხა ბალახის კირტნას თავს ანებებს, აქეთ-იქით დაფეთებული იყურება და შემდეგ გარბის. ერთმანერთის ასეთ მოძრაობას ფარაში ყოველი თხა ხედავს და თვითოეულ მათგანს გონებაში რჩება ყველა ამ მოძრაობის წარმოდგენაც. რადგანაც შიშის ემოცია და ეს წარმოდგენანი ყოველთვის ერთათ იღვიძებენ თხაში, რამოდენიმე გამეორების შემდეგ შიშის ემოციასა და ამ მოძრაობათა შორის მტკიცე ასსოციაცია მყარდება, — ფსიხოლოგიური კანონით, ერთი მათგანი უსათუოთ გამოიწვევს სხვებსაც. რაკი დიდი ხნის გარემოებამ ასეთი ასსოციაცია წარმოშობა და განავითარა პირუტყვის შემეცნებაში, მისთვის ახლა საჭირო აღარ არის მტრის დანახვა ან მისი ღრილის გაგონება: საკმარისია მარტო შიშთან შეერთებული მოძრაობა შენიშნოს თავის ამხანაგს, რომ ამ მოძრაობის დანახვამ იმაში შიში გამოიწვიოს და ეს სრულებით საკმარისია, — ლომი იქნება შიშის მიზეზი, ვეფხვი თუ სხვა ეს სულ ერთია მისთვის: ორსავე შემთხვევაში თავს უნდა უშველოს. მაგალითათ, ერთმა თხამ რომ გაიგონოს ლომის ღრიალი და სხვებმა ვერა, სულ ერთია — თუნდა ყველას გაეგონოს: პირველში ღრიალი გამოიწვევს შიშს, შიში შესაფერ მოძრაობას, ამ მოძრაობის დანახვა მთელ ფარას აღუძრავს შიშს და უკან ვააყოლებს ერთ თხას. ამგვარივე სათაური აქვს ბატკნების კუნტრუშს, ქათმების ფრთხილს და სხვ. ამგვართ ერთათ ცხოვრება საზოგადოებრივ გრძობას გარდა ჰბადავს პირუტყვში სიმპატიას; სიმპატიას იწვევენ და ავითარებენ აგრეთვე სქესობრივი გრძობა და მშობლიური კავშირი. პირუტყვთა შორის ხშირათ ხდება ისეთი მაგალითები, რომლებიც მარტო სიმპატიით და საზოგადოებრივი გრძობით აღარ აიხსნება. არამედ უფრო განვითარებული ზნეობრივი გრძობით. ექვს გარეშეა, ზნეობრივ გრძობას პირუტყვებიც არ არიან მოკლებული. როდესაც მაიმუნების ერთ ჯგუფს მონადირეების ძაღლები დაედევნენ, მაიმუნებმა გაასწრეს, მაგრამ ერთი ახალგაზრდა მაიმუნი ჩამორჩა დანარჩენებს, წამოეწიენ მას ძაღლები და, ის იყო გაგლეჯას უპირებ-

დენ, მაგრამ ამ დროს ერთმა მამალმა მაიმუნმა უშიშრად გამოსწია პირდაპირ ძაღლებისაკენ, დააელო პირი პატარა მაიმუნს და გაბრუნდა უკან, — მისმა მამაცობამ ძაღლებიც კი ისე გააშტერა, რომ ხმა ვეღარ გასცეს. ეს მაგალითი დარწმუნს აქვს მოყვანილი. ასეთი თავგამეტება, რომელსაც ყოველი ჩვენგანიც კი ვერ დაიჩემებს, ექვს გარეშეა, განვითარებული ზნეობრივი გრძობის ნაყოფია და არა მარტო სიმპატიის. ზნეობრივი გრძობის განვითარების განხილვას პირუტყვებში მე არ გამოვუდგები, რადგან ეს ჩემს მიზანს არ შეადგენს; ჩემთვის საკმარისი იყო, მკითხველისათვის დამენახებია ის ცვლილებანი, რომლებსაც იწვევს პირუტყვის სულიერ მხარეში საზოგადოებრივი ცხოვრება. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ როგორც საზოგადოებრივი გრძობა, ისე სიმპატია სასარგებლოა ერთის მხრით კერძო ინდივიდისათვის, მეორე მხრით მთელი საზოგადოებისათვის. სარგებლობა სათავეს შეადგენს ამ ორი გრძობისას. ცხოველთა სამეფოში მთელი ზნეობრივი გრძობა ამ ორი გრძობიდან განვითარდა, ამიტომ ზნეობის სათავეც იგივე სარგებლობაა, ხოლო ეს სარგებლობა პირუტყვს ან ფრინველს სახეში არა აქვს თავისი მოქმედების დროს, — ბუნებრივმა შერჩევამ და მემკვიდრეობამ ისეთი ცვლილება მოახდინა მასში, რომ ის ინსტინქტიურათ მისწრაფის პირადი ან საზოგადო სარგებლობისაკენ, ზარალს კი ერიდება. ველურ ადამიანში თავდაპირველათ მხოლოდ ამ გზით უნდა განვითარებულიყო ზნეობრივი გრძობა: უძველეს დროში ადამიანი იგივე პირუტყვი იყო და ამიტომ საზოგადოებრივ ცხოვრებას მაშინ ისეთი ცვლილება უნდა მოეხდინა მის სულიერ ორგანიზაციაში, როგორსაც ახდენდა და დღესაც ახდენს პირუტყვებში; მასში ჯერ უნდა განვითარებულიყო საზოგადოებრიობა, შემდეგ სიმპატია, სიმპატიიდან და საზოგადოებრიობიდან თანდათან აღორძინდა მასში ზნეობრივი გრძობა, რაც ზნეობის ერთ მთავარ ნაწილს შეადგენს. ხოლო რაკი ადამიანი გონებრივი განვითარებით შესამჩნევათ დაშორდა პირუტყვებს, მისი მოქმედების სარჩული მარტო ინსტინქტიური სარგებლობა კი არ არის, არამედ საზრიანი, შევსებული.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

კავკასიის კამოფენა.

III თესლეულობა.

მესამე განყოფილება დათმობილი აქვს ყავილებისა და ბოსტნეული მცენარეების თესლეულობას. უნდა გამოეტყუდეთ, რომ ეს განყოფილება ერთ უფერულ და ულარბეს ნაწილს შეადგენს პავილიონისას. ამისი მიზეზი უმთავრესათ განლაგეთ უქონლობა ისეთი დაწესებულებისა, რომელიც მარტო თესლეულობით ვაჭრობდეს, რომლის უმთავრეს შემოსავლის წყაროს თესლეულობა შეადგენდეს. რუსეთში ხშირია ამგვარი ფორმები და საზღვარ-გარეთ მით უმეტეს. ჩვენ-კი თესლეულობას ვიწვით უმეტესათ რუსეთიდან და თუ ვინმე ჩვენშია ვაჭრობს თესლეულობით, ის უეჭველია გამოწერილ მასალას ჰყიდოს, რაც ხშირათ ძლიერ ცუდი ღირსებისაც გამოდის. საჭიროება ამგვარი დაწესებულებისა კარგა ხანია შენიშნულია და

«სურვილი» გამოცხადებულია, მაგრამ ჯერ-ჯერობით როგორც ხედავთ...

ოთახის შუაგულში ამართულია პატარა პირამიდა სხვა-და-სხვა თესვებით სავსე ბანკებისა, რომელიც ბ-ნ კვეესს ეკუთვნის; იქვე დასავლეთით აწყვია ვილმერან-ანდრის (პარიკი) საეპქრო ფირმისგან წარმოდგენილი თესვით ადამიანთა ესტეტიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. ვგრეთ წოდებული ნივთიერი სარგებლობა იმათგან მარტო გამყიდველს აქვს. უმეტეს ნაწილათ ამგვარი მცენარეები მდიდართა დარბაზებს აშენებენ, და ღარიბებს-კი იშვიათათ ცალია იმათთვის. (აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ავკალის «სახალხო» სახლთან გაშენებული ბაღი) ისეთი უსარგებლო მცენარე, როგორც მაგალითათ «ციკასია» (ჩვენებურ გვიმრას ჰგავს), 100 მანეთათ არის დაფასებული, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტათ ლამაზია და აშლალ ნერვებსაც აცხრობს მგონია.

IV დეკორატიული მებაღეობა.

დეკორატიული მებაღეობა იმ გვარ მცენარეთა კულტურას ქვია, რომელიც თავიანთი გარეგნული შეხედულებით, სილამაზით, სურნელოვანებით ან სხვა რაიმე ღირსებით ადამიანთა ესტეტიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. ვგრეთ წოდებული ნივთიერი სარგებლობა იმათგან მარტო გამყიდველს აქვს. უმეტეს ნაწილათ ამგვარი მცენარეები მდიდართა დარბაზებს აშენებენ, და ღარიბებს-კი იშვიათათ ცალია იმათთვის. (აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ავკალის «სახალხო» სახლთან გაშენებული ბაღი) ისეთი უსარგებლო მცენარე, როგორც მაგალითათ «ციკასია» (ჩვენებურ გვიმრას ჰგავს), 100 მანეთათ არის დაფასებული, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტათ ლამაზია და აშლალ ნერვებსაც აცხრობს მგონია.

ეს განყოფილება შედარებით მდიდარია და ლამაზათაც არის მორთული; თუმცა სივიწროვის გამო გზაც არაა გასაღვლილი.

ყურადღებას იპყრობს მაიერის ლამაზათ მორთული ხელოვნური გამოკვებული ლამაზ-ლამაზი ყვავილებით შემორგული, შევნიერია აგრეთვე ნოვეისაგან წარმოდგენილი მცენარეულობა: პალმები, ციკასები (100 მან.), ფენიქსები, კამელიები და სხვა მრავალი, იქვე არის კვეესის და ვასილიევსკის ბაღებიდან გამოფენილი მცენარეულობა ყველა მეტათ ლამაზი და შევნიერი. დასავლეთის თაროც აგრეთვე კარგადაა მოწყობილი და ეკუთვნის მაგანას. შევნიერია ბათუმის ბაღისაგან წარმოგზავნილი მცენარეებიც, მაგრამ თითო-თითოდ გაფანტულნი, უმწყემსო ცხვრებით, თავის სილამაზეს ჰკარგავენ. უფრო ლამაზია უზარმაზარ ფოთლებიანი ბანანი და აგრეთვე იშვიათი ეკვემპლიარი კაკტუსისა. საერთო ყურადღება დაიმსახურა ბ-ნი მეიერის «ფლორამ». თავისი შევნიერი ხელოვნური ტბებით, შადრევანებით, ხიდებით, ტეპლიციით, სკამებით და საზოგადოდ მთელი მორთულობით ურიცხვ საზოგადოებას იზიდავს. ამით დავასრულოთ დეკორატიულ ლაპარაკი.

V ხალკეობა და ბოსტნეულობა.

ამ განყოფილებაში გამოფენილია სხვა-და-სხვა ხილეულობა, უმეტეს ნაწილათ სახელის აღუნიშნელათ, ხოლო თუ სახელი აღნიშნულია, ისიც არეულ-დარეულათ. გარდა ამისა ზოგიერთ ექსპონატებს ერთი და იგივე ჯიშის ხილი რამოდენიმე თევზზე დაუწყვიათ, ასე რომ გეგონებათ მდიდარ კოლექციასა ვხედავთ, როდესაც წინ მხოლოდ ერთი ჯიშის ხილი-კი გიძევეთ.

ცოტათ თუ ბევრათ საყურადღებოა: ციციანოვის, კატვოფის, სულხანოვის, ანდრე-ლერუასა (საფრანგეთი) წარმოდგენილი ხილეულობა. ხილთუშენის სკოლას წარმოუდგენია რამდენიმე ძვირფასი ჯიშის: კანადის რენეტი, თეთრი როზმარინი, კასელის რენეტი, თეთრი საზამთრო ვალვილი, და შამპანიური რენეტი. ვაჯი-შაილოვს (შაქათალა) მსხალი თერთმეტი ჯიში, ვაშლი-კი თვრამეტი,

რომელთაგან უფრო საყურადღებოა: კანდილ-სინაპი, მთერთი და წითელი კალვილი და ფრანგული რამბური. სს-ლანოვი: ვაშლი თუთხმეტი ჯიშის. საყურადღებოა: თეთრი კალვილი, სარი-სინაპი, პრეზიდენტი ლინკოლნი. შემდეგ აწყვია მურუზოვის, ტეტევისიანის, ევროპის, ნაკაშიძის, და ტერ-არუთინოვის ხილეულობა. ვეზიროვს გამოფენილი აქვს ცხრა ჯიშის და შეიდი მსხალი; მთელ განყოფილებაში უმეტეს ყურადღებას იქცევს ათონის მონასტრისაგან გამოფენილი ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი, იპპონის ხურმა, ფინიკი და სხვ. ციტობსცევს წარმოდგენილი აქვს საყურადღებო კოლექცია ხილეულობისა. შემდეგ მოდის შილკოენიკოვი, ბეგარამოვი, ტუმავევი, წერეთელი, აწყურის სკოლა, ტერ-აკაოვი; ამ უკანასკნელს გამოუფენია კარგი კოლექცია ვაშლებისა, რომელთაგან უფრო საყურადღებოა: წითელი და თეთრი კალვილი, კანდილ-სინაპი, აპორტი და სხვ. კანდელაკს წარმოუდგენია რამდენიმე ჯიშის ვაშლები. აფრიკიანს გამოუფენია 20 ჯიშის ვაშლი; მათში შესანიშნავია: კანადის რენეტი, ყვითელი ბელფიორი, კალვილ სენ-სოვერ, შამპანიის რეფტი, წითელი საზამთრო კალვილი, კანდილ-სინაპი, თეთრი საზამთრო კალვილი. მსხლებში შესანიშნავია: კატელიაკი, დიუმესი, ოქროს თესლი და სხვ.

ამავე განყოფილებაში აწყვია სხვა-და-სხვა ხილეულობის კონსერვები ე. ი. დაშაქრული ხილეულობა. იმათში ვოლგინის ფირმა უფრო საყურადღებოა: გამოფენილია ქერამის ქლიავის, ატმის, ბალის, ალუბლის, ნიგოზის, ბინის, მსხლ ს, ვაშლის, ანანასის, და ლილვის კონსერვები. შემდეგ მოდის შირაზიანი, კოვალენკო, ხეტაგუროვი, გერბერი, მოლნერი. საყურადღებოა აგრეთვე გამხმარი ხილეულობა ზაქათალის სკოლისაგან გამოფენილი. ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხეებში, როგორც მაგალითათ საინვილოა, ხილეულობა ბევრი მოჰყავთ. გზის უქონლობის ან სიშორის გამო იმათი გამოტანა და კარგ ფასებში გაყიდვა ადვილი საქმე არ არის. აი ამიტომაც უმეტესი ნაწილი ამ სიმდიდრისა სულ ტყვილა უბრალოდ ხდება და იკარგება: ერთათ ერთი საშეალება იმათი გამოყენებისა გახობაა. ხილეულობის გასახმობათ მრავალ-გვარი მანქანაა მოგონილი და ამ ხელობას უმეტეს ნიწილათ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მასდევენ. ამერიკული გამხმარი ხილი შემოაქვთ ევროპაში და ჩვენშიაც. იმედი უნდა ექონიოთ, რომ გასახმობი მასალის სიიფე ჩვენშიაც მიიზიდავს ამ საქმის მცოდნე ადამიანებს და ჩვენი ხილეულობაც ბაზარს იშოვის.

რაც შეეხება ბოსტნეულობას, ამის შესახებ ლაპარაკი მეტათ მიგვანია. დაუწყვიათ რამოდენიმე უზარმაზარი გოგრა, რამოდენიმე საზამთრო, სტაფილო, ქარხალი, გრძელი ბადრიჯანი, კარტოფილი, ხახვი, კამბოსტო, სიმინდის ტაროები, კიტრები, წიწაქა, პრასა, ნიახური და ლობიო; ყველა ესენი უკვე ნახევრათ დაშალა და ვგონებ ახლობასაც არ იქნებოდნენ სანაქებო. რაც არის, ისიც მიყრილ-მოყრილია თითქო პატრონი არა ჰყავთო. საზოგადო პავილიონს გარეთ თავიანთ საკუთარ ვიტრინებში ხილეულობა მარტო ფორერს და ფრიდონოვს აქვს გამოფენილი. შმ. ფრიდონოვების მამულის ქება კარგა ხანია გაისმის და გამოფენილი ექსპონატებიც მასვე მოწმობენ. ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა მომეცა ხსენებული ბაღი დამთვალიერებია და არ შემძლიან ორიოდ სიტ-



ყვა არ მოგახსენოთ იმის შესახებ. რკინის გზის სადგურ სკრას მახლობლათ მდებარეობს პატარა სოფელი ამავე სახელისა. თითონ სოფელი სკრა, მეტის-მეტ სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი საცოდავი სახის გამომეტყველებით. იფიქრებთ ეს არი ახლა გადაუწყველია აქ თათრის ჯარს და აქაურობა გაუნადგურებიაო. ყველაფერი ტიტველი, ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული და ყველგან უკიდურესი სიღარიბე. ცოტასაც გაივლით და უცებ წაწყვდებით მწვანე მშვენიერ ბაღს. აი ეს არის ფრიდონოვის მამული. ბაღი ორი ნაწილისაგან შედგება ქვედა და ზედა. ეს ორი ნაჰკერი ერთი მეორისაგან თითქმის 2—3 ვერსზეა დაშორებული. ქვედა ბაღი უფრო დიდია და თითქმის ნახევარი სანერგეა. სანერგეში მსურველი შეუძლიათ იმოვონ საუკეთესო ჯიშის ნერგები: ბალისა, ატმისა, ვაშლისა, მსხალისა და სხ. მეტათ ხელ-მისაწვდენ ფასებში. ის ქებათა-ქება რომელიც ისმის ფრიდონოვების მამულის შესახებ, რა თქმა უნდა გადაჭარბებულია, მაგრამ ცოდვა იქნებოდა ის ღვაწლი, რომელიც ხსენებულ ბაღს მიუძღვის, არ დაგვეფასებია. ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ იმან გვიჩვენა თუ რომელი ჯიშის ხილეულობა ვარკა და ღირსია გაშენებისა მთელს ამ არე-მარეში. ამისთვის რა თქმა უნდა დიდი ხარჯი გასწია ბაღის პატრონმა და დასასრულ მიზანს მიადგინა. ახლა გარეშე მემამულეებს თვალ-წინ უდგათ მაგალითი და იმ შეცდომებს, რომელიც ფრიდონოვების ბაღს გამოუცდია, შეუძლია გზა აუქციონ. ზედა ბაღი არის გაშენებული ვიწრო ხეობაში ფერდობზე. და როდესაც შიგ შევალთ გული გაგინათლდება. მეორე, მოპირდაპირე მხარე ამ ფერდობისა გაცილებით სჯობიან გაშენებულს მაგრამ ის სხვისი ყოფილა. ის ყოფილა საკუთრება ჩვენი სახელოვანი წოდების, თავად-აზნაურობის და როგორც შეჭვერის ისეთ მდგომარეობაშია. გვიკვირს რასთვის აჩერებს ასე უსარგებლოთ ჩვენი თავად-აზნაურობა ასეთ მშვენიერ ადგილებს და მეზობლის მაგალითს რატომ არ შეხედავს; თუ-კი კერძო კაცს ასეთი სამაგალითო ბაღი გაუშენებია, ნუ-თუ მთელ სახელოვან წოდებას არ შეეძლო ამისი შესრულება?!

VI ტყე.

ეს განყოფილება ერთი შეხედვით შემის საწყობს გაგახსენებთ. ჰხედავთ უზარ-მაზარი ჯიკვები ზოგი იქით ყრია, ზოგი აქეთ. როდესაც დააკვირდებით ნახევრ, რომ კუნძების ბოლოებზე პატარა ქალაღებია დაწებებული, რომელზედაც ხეების სახელი და გვარია, ზოგს პირდაპირ კარანდაშით აწერია. აი აგერ დადი კუნძი ზედ წარწერით *Acer pfatanoides*, ეს ჩვენებური ნეკერჩხალია, იქით დაგორებულია არა ნაკლები სისხოის ჯიკვი, რომელსაც აწერია: *Jtnus campestris*, ეს რაღა? ავი გახლავთ თელა. ასე ჩამოჰყობა ბოლომდე: თხეშლა, ცაცხვი, წიფელა, ჭადარი, მუხა, ბალი, ვაშლი, მსხალი, რცხილა, არყი, აკაცია, ფიჭვი, თუთის ხე, ალვის ხე ფისტაშკა *pistacia mutica*, რკინის ხე *Parratia persica*, და სხვა მრავალი აქვე აწყვია თესლეულობა ტყიური მცენარეებისა, ფიცრების ნიმუშები, პატარ-პატარა კუნძებისაგან გამოთლილი ძვირფასი ნივთები, გაშხარის ხის ტოტები ანუ ლერბარები, ნახშირები და სხვ.

ქართული თეატრი.

კვირას, 16 სექტემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგინეს გერმანელი დრამატურგის ზუდერმანის ზიესა «პატროსნება». თუმცა ფრიად სასურველია, რომ ჩვენი თეატრი აცნობდეს საზოგადოებას თანამედროვე ეკრანის დრამატურგებს, მაგრამ ამ უამათ ზუდერმანის ზიესამ მოლოდინი ვერ გააძაბოთ; ეკრანის გამოჩენილი მწერლისაგან ჩვენ მეტ სელაგნებას მოველოდით. ზიესის აზრი კარგია; აკტორს უნდოდა; დაემტკიცებია, რომ სსვა-და-სსვა წრის პირთ სსვა-და-სსვა წარმოდგენა აქვთ პატროსნებასა და ზნეობაზე, მაგრამ სასელაგნო მსარე ზიესისა ალაგ-ალაგ მეტათ სუსტია და ყაღბი. მაგალითათ, მამა სეინიკეს თითქმის იმგვარათვე ესმის პატროსნება, როგორც მის შვილს—რობერტს, მას სტანკვას აღმას საქციელი, მაგრამ მიიღო თუ არა სეინიკემ ათას ორასი თუმანი, მისი ზნეობრივი შესდგულებანი იმ წამსვე სრულებით გამოიცვალენ, რაც ყოვლათ შეუძლებელია. ფულის გულისათვის სისამაგლე რომ ჩაედინა, ეს ადვილი წარმოსადგენია, რადგანაც ათას ორასი თუმანი მისთვის საცნებო სიმდიდრე იყო, მაგრამ ამავე დროს სინდიანის მხილება რდნავ რომ მანაც არ ეჩინა მასში თავი, ეს დაუჯერებელია; შეუძლებელია, რომ ადამიანს ასე ერთ წამს სჭულებით გამოეცვალოს ზნეობრივი ფიზიონომია. გადავიდეთ მსახიობებზე. საუკეთესოთ თამაშობდენ ბ-ნი გუნია გრათი ფონ-ტრასტის როლში და შათირიშვილი ბრანდტის როლში. ბ-ნი გუნიას მისგრა-მოხვრა, დინჯი, თავდაჭერილი დიქცია, საუცხოვოთ სტაკან ცხოვრებაში გამოცდილი და გამჭრანის ფონ-ტრასტის ტიპს. ასე კარგათ მოთამაშე ბ-ნი გუნია მკინათ გვიანსაჟს. ბ-ნმა შათირიშვილმა სელაგნურათ ჩატარა ბრანდტის როლი და ნათლათ დაუსატა საზოგადოებას ამ გაიუნგრებული ბუჟურის ზნეობრივი და გონებრივი სიბუნჯე. ბ-ნი სვიმონიქს დრამატული როლებისათვის არავითარი ძალა და ტენსია არა აქვს და ამიტომ ვერც ახდენს მსურველებზე შთაბეჭდილებას. ის ბუჟურს ცდილობდა, დაენასკვება რობერტის სულაიერი ტანკვა, მაგრამ სცენაზე ჩვენ მხოლოთ გაათვრებულ ადამიანს ვსვდავთ, რომელიც თვალების ბრალითა და სის ჩქეით უფრო ღდაზრულ ყარამანს გვაგონებდა. ბ-ნი დანდი ვერტის როლში უფრო მოტრცე მოსწავლეს ჭკავდა; ბ-ნი აბამიე თვდაჭერილათა და რიგინათ თამაშობდა. სკინას აზროთ ქ-ნი გ-ნიინა-ცაგარდლისა რამდენათაც საუცხოვოთ თუგალიელთა ტიპების სატკაში, იმდენათ უხეიროს ეკრანზე ზიესებში. კვირას იგი სეინიკეს ცოლს კი არ სატკავდა, არამედ ჩვენებურ მოსიგ დედაკაცს. ქ-ნი ლეჟას ნიჭი ეტყოდა და განუვითარებელი გულბრყვიელ აღმას როლს ალაგ-ალაგ საუცხოვოთ ასრულებდა. ბ-ნი გუდეკანიშვილი, როგორც ყოველთვის, ისე აქაც ნამეტნავათ ატარებდა. ერთი რომ სცენაზე ის დარბ სეინიკეს კი არა, ნამდვილ მთხოვარს ჭკავდა, მეორე ზიესის პირველ ნახევარში, სადაც მის თამაშში არაფერი კომიკური არ უნდა ყოფილიყო, ის თავისი მისგრა-მოხვრით და დიქციით უფრო სიცილს იწვევდა მსურველებში, ვიდრე თანაცნობას.

სსვა მომქმედი პირები თავთავის როლს რიგინათ ასრულებდენ. დასასრულ უნდა შეგნიშნოთ, რომ მსურველებთათვის მსახიობთა ზურგის ცქერა არავინ სასურვადდებოდა არ წარმოდგენს. ბ-ნმა სვიმონიქემ კი მთელი ათი წუთი ზურგი შემოაქცია სცენას და მისი სასე რომ არაფერს გვეუბნება ხოლმე მისი სულაიერი მოძრაობის შესახებ, მისი ზურგი რას გვეტყობდა?!

სუთმების (20 სექტემბერს) წარმოდგენის «დაქვეყნებული» სუნდუკიანცისა, რომელიც ვადე ერთხელ კარწმუნებს და გვჩვენებს, თუ რა არის, როცა ჩვენი არტისტები თავიანთ როლებში არიან. წარმოდგენამ მწყობრით და რიგიანთ ჩაიარა. ამ წარმოდგენას საზოგადოება შედარებით მეტი დაესწრო, თუმცა მინც ცოტა იყო, და არ შეგვიძლია არ შეგინიშნოთ, რომ ასეთი უფურცადობა ქართული თეატრისადმი უსამართლოა. თეატრის გამგენი ეტუება ყოველ ღონის შემართებ სანამ რიგიანთ მოაწონ და ახწნენ ვადე მისანს, მაგრამ ჩვენი ბრწინვადე საზოგადოება გვერდს უვლის ჩვენ თეატრს და ლოკები თითქმის მთლათ ღმარტერი ნახუვრათ ცალკეობი რჩება. ისევე ქანდაკა და ქანდაკის მეზობლები ამბობენ და გვებაკენ თეატრს.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქნო რედაქტორო! მსოფლიო თქვენის გასეთის პატივისცემისათვის ვიღებ ვაღამს ხელში ჩემთვის უცნობ ალიოზ სიმონის ძე თურვანდოვის იმ წერილის საპასუხოდ, რომელიც მოათავსებულა «კვალის» უკანასკნელ ნომერში. შეიძლება, ბ. თურვანდოვს მამა მოუგვდა; შეიძლება, იმან მოიტანა ჩემთან მამამისის სიკვდილის მოწმობა იმ ექიმისაგან, რომელიც წამლობდა გარდაცვალებულს, და მე, ალბათ, ხელი მოვაწერე, განონისამებრ, ამ მოწმობას. ვლახარაგობ „შეიძლება“, რადგანაც ამისთანა მოწმობებს დღეში რამდენსამე მოვაწერ ხელს, ჩემის თანამედრობის მოთხოვნისაგან. დანარჩენი ვი ყოველივე, იმ წერილში მოთხოვნილებით, მტყნარი სიცრუეა. მე დავსაც არ ვიცი, ვინ არიან ან ბ. თურვანდოვი, ან იმისი მეგობარი ბ. დომენტი ვადეკორია, ან ის „წარჩინებული“ პირი, რომელიც მე თითქო ძალათ მომაწერინა ხელი მოწმობას. ბ. ალიოზ სიმონის ძე თურვანდოვი მკითხავს: „როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში“, ე. ი. როდესაც ის მოვა, ან გამოგზავნის გისმეს ჩემთან რომელიმე ექიმის მოწმობით ხელში რომელიმე მისი მოკეთის გარდაცვალების შესახებ. აი ჩემი პასუხიც: დურთმა დაუფაროს, რომ ეს სშირათ დასკიდეს; მაგრამ, თუ ვინცდობა, საჭირო შეიქმნეს, დაწმუნებული იყოს, რომ ყოველივე წესიერი და განონიერი მოთხოვნა, შექლებისამებრ, დავამოუფილებული იქნება ჩემგან, განურჩევლათ იმისა, «წარჩინებული» პირი მოვა, თუ არა «წარჩინებული»...

ექიმი გრ. ელიავა.

«კვალის» რედაქციისაგან.

ვაცხადებთ ხელის მომწერთა საუურბდებოდ, რომ, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, მოძავალ ნომრიდან «კვალი» აღარ გავცხადებთ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ქართული თეატრი

გვირას, 23 სექტემბერს 1901 წელს ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება ახალ პრესა

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქ., თსზ. დ. კლდიაშვილისა.

პირველი გუზი

კომ. 3 მოქ., თსზ. ვ. გუნასი.

მონაწილეობენ: ქალბატონნი: ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, მდივანი, ვარელი, აფხაზიშვილი, კავთელი, გივიშვილისა და სხვ. ბატონნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, სარჯველაძე, მირიანაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

ანტრაქტებში დაუკრავს ბ. ლოიკოს მებაღე-ლაიკოს სოფო.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მზადდება შემდეგი ახალი პიესები: „გაცრუებული იმედები“, კომ. 3 მოქ., „ჯადო სიყვარულისა“, დრ. 4 მოქ.

სკოლა და პანსიონი.

ა. მამულაიშვილისა

გადავიდა სლებცივის ქუჩაზე, № 13. ოლგას ვიწრო ქუჩის (СЛЬГИНСКИЙ ПЕРЕУЛСЬ) მახლობლათ.

ამზადებენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებითა სათვის.

ქალების პროგიმნაზია

ვლენე ბახტაძისა

დ. სონი

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქმნენ პროგიმნაზიის უფროსის—**ელენე ბახტაძის** სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში. (4—4)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების

სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით და სამი განყოფილებაც რუსულისა.

სკოლა იმყოფება, ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, სახლი საგარდაპოსერბსკისა, № 12.

გამოვიდა და იყიდება **ლამეზი და პომეზი** ი. კვლ-შვილისა, მეორე შევსებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და აშხ. ფასი **ათი შაშრი**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакция „Квали“, Г. Цулукидзе.